


1919



წელიწადი  
პირველი  
თბილისი  
1919 წ.  
კვირა 9 თებერვ.

№ 10.



### ყოველ-პირველი უცრალი „რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო-სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილებით)

ამიერიდან გამოდის გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით. უცრალი მთელი წლით ელიჩება 80 მ., ნახევარი წლით 45 მ., თვიურათ 8 მ., ცალკე ნომერი 2 მ.

უცრალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალო-უბნის) ქ. ოფიციალური მხით „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, — უცრალ „რესპუბლიკის-ჯარისთვის“. უცრალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე, უცრალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.

### შინაარსი:

- |  |   |
|--|---|
| 1) მოწინავე  | 8) ჯარის მოწყობა ჩვენში სხსო ჩ.                             |
| 2) ზღაოსნობის საკითხი ე. ჩ.                            | 9) სამხედრო ტანისამოსის შესახებ ვ. ოქუაშვილი.               |
| 3) ჯარის კაცის აღზრდა ავ. აბესაძე.                     | 10) ჯარი და სოფლის აღმინისტრაცია თ. ჩიქვანაია.              |
| 4) ოფიცერთა საკითხი გენ. იმნაძე.                       | 11) საღარაჯოზე ი. შვედლიშვილი.                              |
| 5) ხმელეთის ჯავშნოსანი „ტანკები“ ა. ბ.                 | 12) კვირეული მიმოხილვა.                                     |
| 6) საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა ა. სვანიძე.     | 13) მთიელები ლ. ცაგარელი.                                   |
| 7) სანაინის ფრონტი სანიტარულის მხრით ექიმო ახვლედიანი. | 14) კულტურულ-განმანათლებელი საქმე ქართულ ჯარში ალ. გორგაძე. |
|  | 15) ქრონიკა.  |

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის

ქ უ რ ნ ა ლ ჯ ი

საქართველოს  
საზოგადოებრივი

# „კავკასიის ქალაქი“

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო.

ორ-კვირეული გამოცემა მუნიციპალური საკითხების შესახებ.

ჟურნალი გამოდის ქართულ-რუსული განყოფ.

ჟურნალი ღირს: ერთი წლით 36 მან., ნახევარი წლით 18 მან. 50 კ.,

სამი თვით—10 მან., ცალკე ნომერი—3 მან

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისი, სომხის ბაზარი № 1. ტელეფონი 7—31.

ჩვენს ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პირნი:

არსენიძე მ., აზატიაშვილი გ., არსენიძე გ., ალიბეგოვი გ., ბურჯანაძე ვ., ბროდსკი პ., ბრიტნივი ა., ბეჟანოვი, ვირსალაძე ს., გიკნ., გოპარტყელი ი., გეგუშტყინი დ., გამალეი, დერკოვსკისა კ., ელიავა ნ., ესენი ა., ირემაშვილი ა., იანოვიჩი, იშკოვი, კანდელაკი კ., კაკალიშვილი პ., კონიევი გ., კლვინი ე., კნაპი, კალიუქნი, მამრამე გ., მადდისონი, მარგველაშვილი ტ., ნანეიშვილი გ., რაზუმოვსკი ე., რობაქიძე ს., რუხაძე, როზანოვი პ., რიგორსკი-საფიჩი, ქავთარაძე პ., თოფურაძე დ., თუმანოვი გ., ონიანოვი დ., სალაყაია ი., სვანიძე ა., საყვარელიძე პ., საბახტარაშვილი კ., სულთაშვილი დ., სმირნოვი მ., შენგელაია-ქიაჩელი, შარაშენიძე გ., ლლონტი თ., ჯაჯანაშვილი ა., ტრეიბანი, ტრიგუსი, ფეხნერი ფ., ჩერქეზიშვილი.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1919 ГОДЪ

Двухнедельный журнал по вопросам самоуправления на грузинскомъ и русскомъ языкахъ

# „КАВКАЗСКИЙ ГОРОДЪ“

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузи.

II-ой годъ изданiя

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНIЯ

На годъ . . . . .	36 р.
На 6 мѣсяцевъ . . . . .	18 р. 50 к.
На 3 мѣсяца . . . . .	10 р.
Цѣна отдѣльнаго номера . . . . .	3 р.
Въ другихъ городахъ . . . . .	3 р. 50 к.
За перемѣну адреса . . . . .	50 к.



строка пегита позади текста 1 р.—50 к.  
Для лицъ, ищущихъ труда въ городскихскихъ и земскихъ управленiяхъ — въ половинномъ размѣрѣ.

• Редакцiя и контора: Армянскiй базаръ, 6, Телефонъ 7-31.

ВЪ ЖУРНАЛЪ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТIЕ.

Г. Н. Азатянъ, Е. Ф. Арванитакъ, П. М. Аргутинскiй, Г. А. Алибеговъ, М. Арсенидзе, Г. Аюлло, И. Г. Бежановъ, А. С. Бритнева, Б. Бродскiй, В. Бурджанадзе, д-ръ С. С. Вирсаладзе, Д. К. Гешштейнъ, Н. М. Гигъ, Ю. Г. Гамалъи, И. Гомартели, Т. Глonti, К. М. Дерковская, З. М. Дружинина, А. Джаджанашвили, С. И. Зубчаниновъ, Л. А. Ишковъ, I. Иремашвили, А. А. Калюжный, К. П. Канделаки, Д. З. Кореневъ, Э. И. Клейнъ, П. Л. Кикалейшвили, А. Кнаппъ, Г. Коніевъ, П. Кавтарадзе, Е. А. Маддисонъ, Г. Мамрадзе, Т. Маргвелашвили, Г. Нанейшвили, Д. Оნიашвили, д-ръ Е. Л. Песисъ, проф. В. И. Разумовскiй, С. И. Робакидзе, И. К. Рычгорскiй-Савичъ, Н. П. Рухадзе, Г. Согоровъ, М. Н. Смирновъ, В. А. Соколовъ, I. Салакая, А. Сванидзе, Н. Сакварелидзе, К. Сабахтарашвили, Д. Сулиашвили, Ю. Х. Трейманъ, А. А. Тривусъ, Г. М. Тумановъ, Д. Тогуридзе, д-ръ Ф. Л. Фехнеръ, Л. Шенгелая-Кіачели, В. Шарашанидзе, И. Черкезишвили, В. А. Яновичъ, Н. З. Эліава, А. М. Эссенъ.

# სამხედრო ჟურნალი

## „რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

### ოფიციალი განყოფილება.

#### ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი.

#### რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

4 იანვარს 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 1.

#### § 1.

ინიშნებიან: ჩემს განკარგულებაში მყოფნი გენერალ-მაიორნი: დადეშკელიანი და ციციშვილი — სამხედრო საკასაციო სასამართლოს დროებით წევრებათ.

#### § 2.

მინდობილობისათვის შტაბ-ოფიცერმა სამხედრო მინისტროსთან პოლკოვნიკმა ჯაფარიძემ მოხსენებით შემატებინა, რომ 1918 წ. 26 დეკემბერს შემგზავრა სამსახურის მოთხოვილების გამო სამთის რესპუბლიკაში.

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალ-მაიორი მდივანი.

5 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 2.

ჩემს მინდობილობათათვის მყოფ გენერალს გენერალ-მაიორ კონიაშვილს ვნიშნავ ჯარების მთარ-სარდლათ სოხუმის და სოჩის ოლქებში.

აღნიშნულ გენერალს უმორჩილებ საქართველოს ყველა სამხედრო გემებს, სამხედრო მხრითკი ყველა ნავთსადგურებს შავ ზღვაზე რესპუბლიკის ზღვრებში.

5 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 3.

#### § 1.

1178 სამხედრო სასანიტარო მატარებელი გაყვანილია სადგ. ბორჯომიდან სად. სადახლოში ნაინის ფრონტისათვის სამსახურის გასაწევად.

#### § 2.

შედგენილია 116 სამხედრო-სასანიტარო მატარებელი და გაგზავნილია ბორჯომს ახალციხის რაზმისთვის სამსახურის გასაწევად.

#### § 3.

შედგენილია და გაგზავნილი ფრონტზე პირველისა და მეორე დივიზიის შემხვევი რაზმები.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 4.

#### § 1.

დამატებად ბრძანებისა რესპუბლიკის ჯარების მიმართ № 119, ვაცხადებ, რომ ყველა ხარისხოსანი ჯამაგირს იღებენ თანახმად თავის თანამდებობისა მშვიდობიან დროს.

#### § 2.

გენერალური შტაბის განყოფილების ტელეგრაფის ნაწილის ყველა მოხელეები ომის დაწყებიდან ირიცხებიან მომქმედ ჯარში.

#### § 3.

ჯარის ცხენების შევსების სექციის და მასთან მყოფი მუდმივი სარემონტო კომისიის დროებითი შტატები.

ხარისხიდან დასახელება.	ხარისხიდან რიცხვი.	თვითი სარგო.
სექციის უფროსი, იგივე მუდმივი სარემონტო კომისიის თავმჯდომარე, შტაბ-ოფიცერი .	1	1150
<b>კომისიის წევრნი:</b>		
შტაბ-ოფიცრები . . . . .	2	850
საქმის მწარმოებელი, ობერ-ოფიცერი . . . . .	1	725
ბეითალი . . . . .	1	850
გადამწერი*) . . . . .	2	—
<b>სულ . . . . .</b>	<b>7</b>	<b>4425</b>

უენიშვნა: საკანცელარიო ხარჯებისათვის 100 მანეთი თვეში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

\*) შეიძლება ნებით დაქირავებულნი იყვნენ, ჯამაგირით თვეში 400 მანეთამდე.



31 დეკემბრი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 138.

გაუქმებულ იყოს: ყოფილ სამხედრო მინისტრის კერენსკის ბრძანება, გამოქვეყნებული „რუსი ინვალიდში“ 27 ივნისიდან 1917 წ. № 148 ოფიცრების ჯარის-კაცთა წმინდა გიორგის ჯვრებით, დაფნის ფოთლით დაჯილდობის შესახებ.

31 დეკემბრს 1918 წ.

№ 139.

ვაცხადებ საყოფადღებოთ და სახელმძღვანელოთ განსაზღვრულს ფასებს სამს ღეროდ ნახერხის შესისას ამა წლის სექტემბრის და მომავალ 1919 წ იანვრის მესამედებისდვის იმ პუნქტებში, სადაც ბინადრობს საქართველოს რესპუბლიკის ჯარი, თანახმათ თანდართულ ნუსხისა.

განსაზღვრული ფასები სამს ღეროდ ნახერხს შესისას ამა წლის მაისის, სექტემბრის და მომავალ 1919 წლის იანვრის მესამედებისათვის იმ პუნქტებში, სადაც ბინადრობს საქართველოს რესპუბლიკის ჯარი.

პუნქტების სახელები	განსაზღვრული ფასები		
	მაისისა 1918	სექტემბ. 1918	იანვრისა 1919
ქალაქ ტფილისში მის მახრამში..	230 მან.	365 მან.	400 მან.
დაბა მანგლისში	144 "	187 "	200 "
" ალ-ბულაღში	108 "	150 "	200 "
" მუხროვანში.	108 "	150 "	200 "
" გომბორში	108 "	150 "	200 "
ქალაქ გორში	198 "	260 "	350 "
" სურამში	113 "	165 "	300 "
" ბორჯომში	113 "	150 "	200 "
" თელავში	92 "	240 "	400 "
" სიღნაღში.	144 "	260 "	450 "
დაბა ლავოდენში.	66 "	120 "	200 "
" დედოფლის წყაროში	79 "	180 "	300 "
ქალაქ ლუშეთში	70 "	130 "	200 "
დაბა ანანურში.	90 "	160 "	240 "
" არქაღაში	90 "	160 "	240 "
ქალაქ ქუთაისში	187 "	187 "	200 "
" ოზურგეთში	262 "	308 "	340 "
" ნოტანებში	210 "	210 "	240 "
" სოხუმში	300 "	412 "	450 "
" ლანჩხუთში	187 "	187 "	190 "
" სამტრედიისში	202 "	210 "	215 "
" ყვირილაში	165 "	180 "	195 "
" ახალ-სენაკში.	187 "	210 "	220 "
" ზუგდიდში.	225 "	240 "	250 "
" ოჩემჩირეში	350 "	412 "	450 "
" ფოთში	210 "	210 "	240 "

სამხედრო მინისტრის თანაშემწე ღენერალ-მაიორი შლივანი.

№ 140.

25 დეკემბერი 1918 წ. ქ. თბილისი.

აუცილებელ საქიროების გამო, შესდგეს ბორჩალოს და ახალციხის სამხედრო ბინათა დისტანციები, თანახმათ ამასთანავე გამოცხადებულ დროებითი შტატებისა.

შტატების შევსებას, მოთხოვნების დაგვარ, ვავალებ საბინაო სექციის უფროსს. დაშვებულთ, საბინაო სექციის უფროსისგან, სამხედრო ბინათა დისტანციების უფროსებათ ახალციხის ჯარში მსახურს ინჟინერს იოსავას და ბორჩალოს ჯარში მსახურს ინჟინერს კოლლეჟსკი სოვეტნიკს ჩხეიძეს ვამტკიცებ მათ თანამდებობაზედ ამა 25 დეკემბრიდგან.

აღნიშნული დისტანციები ითვლებოდნენ წარსულათ ფრონტზე 25 დეკემბრიდგან.

დროებითი შტატები.

ბორჩალოს და ახალციხის სამხედრო ბინათა დისტანციებისა:

თანამდებობის სახელები	ხარისხოსანთა რიცხვი		შენიშვნა
	ბორჩალოს სამხედრო დისტანცია	ახალციხის სამხედრო ბინათა დისტანცია	
დისტანციის უფროსი	1	1	პოლკის უფროსის ბატალიონ, უფროსის უფრ. ოფიც. როტ. უფრ.
ჯარში მსახური ინჟინერი.	1	1	
მუშაობის მწარმოებელი ჯარში მსახური ინჟინერი	2	1	
ტენნიკოსი	3	3	
საქიმის მწარმოებელი გამგე შეშისა და მასალების საწყობებისა	1	1	
მწერლები	3	3	
მხაზველნი	—	1	
მწყობლები	2	2	
საინჟინერო ზედამხედველნი	3	3	
წლიური ხელოსნები	3	5	
ყარაულები და გზირები	4	3	
კანცელთარის ხარჯი თვითურათ.	—	—	200 მან.
<b>სამგზავროთ</b>			
მსუბუქი ავტომობილები	1	1	შეიძლება ნებით დაქირავდეს. შევსება მინიჭ. ჯამაგ.
შოფერი	1	1	
შოფერის თანაშემწე	1	1	

შენიშვნა: 1. ყველა ხარისხოსანები იღებენ ამის გარდაღამატებით ჯამაგირებს და პაის, კანონით მიღებულს ფრონტზე გაგზავნილ სამხედრო მსახურთათვის.

2. თუ სახელმწიფო ავტომობილი არ ექნებათ მიცემული სამგზავროთ, თვეში მიეცეთ 300 მან.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე ღენერალ-მაიორი შლივანი.



20 იანვარი 1919 წელს.

№ 9

სამხედრო მინისტრის თავმჯდომარეობით 19-ე იანვარს კომისიის დადგინდობის თანახმად სამხედრო სასწავლებლის შენობის განაწილების შესახებ ოფიცირთა კურსების და სახალხო გვარდიის წორის, გზა-ქანაბ საჩქაროთ შესრულების შემდეგი:

1) ოფიცრების კურსებისათვის ინიშნება წინაპირი ნაწილი სასწავლებლის საშავე საბათლოში: ა) წინაპირთ (ფასადით) — დაწყებული მისი მარჯვენა მხარეიდან პირველი ოფიცირთა ფლიგელამდი (საგარჯიშო დარბაზამდი), ბ) სიგანით — დაწყებული წინაპირის (ფასადით) ხაზიდან იმ პირველი კიბის მარჯვინა კიდეამდი, რომელიც გზოში გადის.

2) სამხედრო სასწავლებლის დანარჩენი შენობები და სადგომები სახალხო გვარდიის შტაბს გადაეცეს.

3) ოფიცრების სადგომ ბინებიდან კურსების განკარგულებაში რჩება ოთხი ბინა, რომელიც შემოხსენებულ წინაპირის (ფასადის) შენობაში არის მოთავსებული.

4) დანარჩენი ბინები სახალხო გვარდიისთვის ინიშნება.

5) სახალხო გვარდიის უმთავრესი შტაბი ვალდებულია: ა) მისცეს კურსებს თავლა — ოთხი ცხენისთვის, სამეჯინიზო, ეტლების დასაყენებელი და თივის დასაწყობი ადგილი, ბ) მისცეს საკმარისი ადგილი იმ ქონებისთვის, რომელიც არ ესაქიროება და მეტია სასწავლებლისათვის, გ) თვალყური ადევნოს და წესიერ მდგომარეობაში იქონიოს ის შენობები და მოწყობილობა, რომელიც საერთო სარგებლობაში იქნება, როგორც: ელექტრონის სადგური, ცენტრალური სათბობელი, მექანიკური სამრეცხველო, აბანო, ტირი, ეზო, ქვაფენილი, და ქუჩა. დ) მისცეს სასყიდელში გამომცხვარი პური თუ მოისურვებს.

6) სასწავლებლების ავეჯეულობის ნაწილი, რომელიც საჭირო იქნება სახალხო გვარდიის შტაბებისთვის, მაგალითად: ლოგინები, მაგიდები, სკამები, შკაფი და სხვა, რაც კურსებისათვის იქნება მეტია, გადაეცეს აღწერათ სახალხო გვარდიას, იმ დრომდე სარგებლობისათვის, სანამ ეს ავეჯეულობა სასწავლებელს დასჭირდება.

7) ბინათა სექციის უფროსმა დაუყონებლივ გასცეს განკარგულება: ა) რათა მოწყობილდეს კურსებისთვის დანიშნული შენობის ნაწილი სამზარეულოს, სასადილოს და კურსებისთვის სხვა საჭიროებათა მოწყობით, ბ) დაუყონებლივ უზოვოს კერძო სახლებში საჭირო ბინები იმ ოფიცრებს

და ხარისხოსან მოსამსახურეებს, რომელთაც უფრო ბიან გადმოსახლებული სახაზინო გზებიდან.

8) სასწავლებლის უფროსმა გასცეს განკარგულება: ა) სახალხო გვარდიას ყველა მისთვის დანიშნული სადგომები ჩაშაბადეს სიით ამა წლის პირველ თებერვლამდე, ოფიცირთა ბინები კი ხუთ (5) თებერვლამდე. ბ) დაუყონებლივ გამოეცხადოს სამხედრო სასწავლებლის შენობაში მდგომთ, რომლებმაც უნდა დასცალონ ეს ბინები და კერძო ბინებზე გადავიდნენ 5 თებერვლამდე.

ვაჩხაძე რა ზემოხსენებულს დაუყონებლივ აღსარულებლათ, სასწავლებლის უფროსს და ბინათა სექციის უფროსს ვუბრძანებ დანიშნულ დროში ამის სისრულეში მოყვანა მომახსენონ.

გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

21 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 17.

მინდობილობათათვის გენერალმა სამხედრო სამინისტროსთან გენერალ-მაიორმა კონიაშვილმა მოხსენებით შემატყობინა, რომ ამ წლის 18 იანვრის სამსახურის გამო გაემგზავრა ქ.ქ. სოხუმში და სოქაში.

23 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 18.

აღდგენილია: საქმის მწარმოებლის თანამდებობა სამხედრო საბეითლო განყოფილებაში, ახალ განკარგულებამდის.

24 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 19.

წესდება: 31 დეკემბერი, სომხებთან ბრძოლაში გამირულოდ დაღუპულ მგომართა ხსოვნის პატივსცემის დღეთ და 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, სამხედრო საზეიმო დღესასწაულათ.

24 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 2.

ჩემს განკარგულებაში მყოფმა გენერალ-მაიორმა იმნაძემ მოხსენებით შემატყობინა, რომ იგი გამგზავრა ახალციხეს, ბრძანების თანახმათ, ამ წლის 21 იანვარს.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

20 იანვარს 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 21.

აღსარულებლად მგათე მუხლისა ჩემის ბრძანებისა 20 გიორგობისთვიდგან 1918 წ., № 86, ჯარის ნაწილის და სამხედრო უწყების სხვა და



სხვა გვარის კმაყოფის მოთხოვნათა და საზოგადოდ ანგარიშთა განხილვისათვის 26 მაისთაგან დაწყებული 1 გიორგობისთვემდე 1918 წლისა, ვნიშნავ კომისიას:

ა. ჯარების იმ ნაწილებსათვის, რომელნიც იმყოფებიან დივიზიის, ბრივადის შემადგენლობაში დივიზიის, ბრივადის უფროსის დანიშნით სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლის და დივიზიის ინტენდანტის მონაწილეობით და,

ბ. ჯარების იმ ნაწილებსთვის, რომელიც არ იმყოფებიან დივიზიის შემადგენლობაში-გენერალ-მაიორის ციციშვილის თავმჯდომარეობით წევრთაგან, რომელთაგან ერთი იქნება 1 დივიზიის უფროსის მიერ დანიშნული შტაბ-ოფიცერი, მეორე საადმინისტრაციო განყოფილების მიერ დანიშნული, კონტროლის წარმომადგენლის მონაწილეობით.

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალ-მაიორი გელაქანიშვილი.

## არა მოვიციალი განყოფილება

თბილისი, 9 თებერვალი.

**კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.** ჯარის დაძველებულ-განზრდა-განვითარებაში

— უნდა მიდიოდეს ორი აუცილებელი გზით, რომელნიც ერთი მეორეს ჰარბალებურათ მისდევს. პირველია სამხედრო გზა, სამხედრო მეცნიერების და ტექნიკის შესწავლა, ეველანფერი ის, რასაც მოითხოვს სამხედრო საქმე; ამ მომენტს ჯარის აღზრდა-განვითარებაში მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს და თუ ამ დარგში მუშაობა და მეცადინეობა შესაფერისათ და სათანადოთ არ მიმდინარეობს, მოიკოჭლებს, — ამ შემთხვევაში ჯარი ვერ მოგვცემს მებრძოლ ძალას, მაგრამ ამ დარგში მეცადინეობაც დაძველებული უნდა იყოს საღ მოსახრებაზე, საგნის შეგნებულათ შესწავლაზე. თუთიყუშური განვითარება და უსიტევოთ, გაუგებლათ დასწავლა ჯარს დაძველებს, და საგნობრივი, პრაქტიკული და შეგნებაზე აკებული მუ-

შაობა კი მეტათ განვითარებაში მნიშვნელობა აქვს მეორე მომენტს — ჯარში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, ჯარში შეგნების შეტანას.

მეფელი რეჟიმის მუსრუტებში, როდესაც გსახანი არსათ აუო და ჩვენ კი თვითნივთიერათ ღარბი ვიყავით, — მრავალი ჩვენი ახალგაზრდა უსწავლელი და წერაკითხვის უცოდინარი რჩებოდა. ჩვენს ახალგაზრდა ჯარში ასეთები არიან და პირველათ მათ უნდა მიექცეთ ეურადლება. საჭირო არის მოეწეოს მაცადინეობა და ჯარისკაცებს შეასწავლონ წერაკითხვა. ეს აუცილებელია. ეს შეუძლია, როგორც ოფიცრობას, ისე კულტურულ განმანათლებელ სექციას, რომელმაც ამ კარე-მოებაში უნდა მიმართოს სხვა ძალებსაც. წრეების დაარსება ამ მიზნისათვის ან შეკლების შექმნა, — ეს დამოკიდებულია მდგომარეობაზე, აუცილებელია: ეველამ უნდა იცოდეს წერაკითხვა. მაგრამ მათთვის, ვინც წერაკითხვა უკვე იცის უნდა მოეწეოს სამკითხველოები და ბიბლიოთეკები, რომ მცირე თავისუფალი დრო ჯარისკაცს საშუალება ქონდეს მოახმაროს თვითგანვითარებას.

ამ მსრვი ინტერესის გაღვივება მეტათ საჭიროა. ჩვენ, რასაკვირველია, იმას არ ვაძბობთ, რომ ჯარში წერაკითხვის და განმანათლების სასალსო სკოლები გაუხსნათ, — მაგრამ ის დრო, რომელიც გადაარჩება სამსედრო მეცადინეობას დაუფინებლივ განმანათლებელ მუშაობას უნდა მოხმარდეს. ფიზიკურ ძალის გამაგრებასთან ერთად უნდა სდებოდეს გონებრივი და სნეობრივი ზრდა-გამაგრება და როდესაც ეს ორი ძალა ერთმანეთთან შეხდილ — შეღულებულია, — მაძინ ძლევაძმოსილება მისი ეოველთვის უსრუნველყოფილია.



ეროვნული  
სამხრეთი

ჯარის სამხედრო წესებით აღსრულდა და ჯარში წერტილთხვის ცოდნის შეტანა მარტო არაა საკმარისი, რომ ჯარისკაცი სავსებით განცნობიერებული მოქალაქე შეიქნეს; ამისთვის საჭიროა კიდევ სხვა ზომები და მას შემდეგში შევეხებით.

### ზღვაოსნობის საკითხი საქართველოს რესპუბლიკაში.

წინა წერილში ჩვენ განვიხილეთ რა პირობები არსებობენ ჩვენში ზღვაოსნობის მოსაწყობათ. ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი ზღვის პირი ხელსაწყოა ზღვაოსნობისათვის, მაგრამ პორტებს ბევრი რამ აკლიათ. აკლიათ უმთავრესად დოკები, გლოინგები ნავთსაშენი და სარემონტო სახელოსნოები. ამის გამო შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში მცურავ გემებს ოდესაში ან კიდევ სხვაგან უხდებათ საჭიროებისათვის წასვლა. ბათუმში რომ დოკები გვექონოდა, ცხადია ესენი ამ პორტს მოაშურებდნენ. ეს კი დიდათ სასარგებლო იქნებოდა ჩვენი რესპუბლიკისთვის.

მეტად საჭიროა აგრეთვე ნავთისა და ქვანახშირის საწყობების გაშენება ჩვენს პორტებში. ჩვენი გემებიც ისარგებლებენ ამით და სხვებიც. ესეც დიდს სარგებლობას მოგვცემს. დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აგრეთვე თავშესაფარ პორტს სუხუმში, ეს ქალაქი დიდ როლს ითამაშებს მომავალში ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. საჭიროა, რომ შეძლების დაგვარათ ჩვენც შევუწყოთ ხელი ამას, რითაც შეგვიძლია.

ნავთსაყენი ქარხანა ყველაზე უფრო ბათუმს მოუხდება. ქარხანას ვერ დაუსვამთ მეტათ დიდ მიზნებს, მაგრამ მან უნდა შესძლოს სანაპირო ზღვაოსნობისათვის საჭირო გემების, პორტის კატერების, შარჟების, იალქნიანი გემების და სხ. შენება. საჭიროა, რომ კორპუსიც ჩვენში კეთდებოდეს და მექანიზმიც. დაწვრილებით აღწერას იმისას თუ როგორ უნდა მოეწყოს ასეთი ქარხანა, ჩვენ არ გამოუდგებით აქ. ეს სპეციალისტების საქმეა. ჩვენ აქ პრინციპიალურათ ვეხებით მხოლოდ კითხვას. ქარხანამ უნდა შესძლოს აგრეთვე სამხედრო ფლოტილის სამსახურიც.

ასეთი ქარხნის მოწყობა ძალიან გაუძნელებდა ჩვენს რესპუბლიკას, როგორც ტექნიკურათ ისე ფინანსიურათ, მაგრამ რაც შეგვიძლია ის მაინც უნდა იქმნას. ქარხანა უსათუოთ სახელმწიფო უნ-

და იყოს, რადგან სრულიათ არაა სასურველი რაიმე ისეთი მრავალ მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიც არის ზღვაოსნობა თავიდანვე კერძო პირებისაგან იყოს მხოლოდ დამოკიდებული. თავის თავთ იგულისხმება, რომ კერძო პირებს და საზოგადოებებსაც არავინ დაუშლის ამ ასპარეზზე მოქმედებას. პირიქით სასურველია, რომ სახელმწიფომ მათაც გაუწიოს დახმარება რითაც შეუძლია, საშენ ქარხანას სარემონტო სახელოსნოებიც უნდა მოჰყვინენ. ძარგი იქნება, რომ ესენი ფოთში და სუხუმში აშენდნენ.

სანამ ყველა ამას მოვაწყობდეთ კარგა ხანი გავა. კომერციულს ფლოტი კი დღესვე წარმოადგენს ჩვენთვის უკიდურეს საჭიროებას, მაშასადამე სანამ ჩვენ საკუთარ ქარხანას ავაგებდეთ სხვა გზით უნდა ვცადოთ გემების შექმნა, ჩვენ ან მზათ გაკეთებულები უნდა ვიყილოთ გემები ან კიდევ სხვა სახელმწიფოებს დაუკვეთოთ ისინი. ორივე საქმის მოწყობას დღესვე უნდა შეუდგეთ, რადგან დრო ასეთ საქმეში ერთი ორათ ფასობს. მთავრობა დღესვე უნდა შეუდგეს იმის ცდას, რომ თვითონაც გაიღოს და კერძო საზოგადოებებსაც გააღებოს ქარხნისთვის საჭირო ფული. იგი დაჟინებით უნდა ურჩევდეს და უხსნიდეს ფართო წრეებს, რამდენათ იქნება ჩვენი ქვეყნის წარმატება და კეთილდღეობა ჩვენი ზღვაოსნობისაგან დამოკიდებული. იგი უნდა უხსნიდეს ხალხს, რომ ამ დარგში განხარული კაპიტალი უკეთეს სარგებელს იძლევა ვიდრე რომელიმე სხვა. ჩვენი ქვეყანა ძალიან დარბია მსხვილი კაპიტალით; საქმე მამასადამე ფართო ნიბდაგზე უნდა დავაყენოთ თუ იმის წარმატება გვინდა. აქციები პაჭარები და ხელმძისაწდომნი უნდა იყვნენ ყველასთვის, მაშინ უფრო გავრცელდებიან ისინი საზოგადოებაში. სახელმწიფომ ფართო დახმარება უნდა გაუწიოს ისეთ საზოგადოებებს. ამასთინავე მან სასტიკი კონტროლიც უნდა აწარმოოს, რადგან სხვა ქვეყნების პრაქტიკა გვჩვენებს, რომ ასეთი საზოგადოებები ხშირათ პარაზიტულ ხასიათს იღებენ. რუსეთის მოხალისეთა ფლოტს უზარმაზარი შეწირულებები მისდიოდა, არც კონკურენცია აწუხებდა მაინც და მაინც, მიუხედავათ ამისა დეფიციტების მეტი მას არა უნახავს რა, რომელთაც ხაზინა ჰფარავდა მუ. ამ. გაცილებით კარგათ მუშაობდნენ კერძო საზოგადოებები: რუსეთის საზღვაო საზოგადოება, აღმოსავლეთ აზიის საზოგადოება, კავკასია და მერკური და სხვა. არა თუ რუსეთში თვით კულტურულ დასავლეთშიაც კი: ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაშიც, კერძო საზოგადოებები უფრო წარმატებაში არიან. ეს ადვილი ასახსნელიცაა. ჯამა-

გირზე მჯდომი მოხელე თავის დღეში ვერ მოგეპრობა საქმეს ისე გულიანათ როგორც საკუთრივ დანტერესებული კერძო პირი. რას ჰკარგავს მოხელე თუნდაც რომ იზარალოს კიდევაც საზოგადოებამ? არაფერს. კერძო პირი კი ყველაფერს. ფულის გარდა ზღვაოსნობისათვის სპეციალისტთა კადრიც იქნება საჭირო. არც ეს მოგვეპოება ჩვენ საუბედუროთ. აქაც მთავრობა უნდა ჩაუდგეს საქმეს სათავეში, მან თავის ხარჯით უნდა გაისტუმროს უცხოეთში საჭირო პირები საქმის შესასწავლათ. გაგზავნილებს საშუალო სასწავლებელი უნდა ჰქონდეთ გათავებული აუცილებელივ. კარგი იქნება ყოველივე მათგანმა ერთი უცხო ენა მაინც იცოდეს. სამსახურში შესვლის შემდეგ ასეთ პირებს თვით შეუძლიანთ გადიხადონ მათზე დანახარჯი თანხა. ამ გზით 2-3 წელიწადში შეუძლიან ჩვენს რესპუბლიკას შეიძინოს ზღვაოსნათა საჭირო რიცხვი. საბოლოოთ ამით კითხვა არ გადიქრება, რასაკვირველია. ამისთვის საჭირო იქნება თვით ჩვენში გაიხსნას საზღვაოსნო სასწავლებლები: ერთი მათგანი სანაპირო გემებისათვის მოამზადებს მეზღვაურებს, მეორე კი სხვებისათვის. კურს დასრულებულები უცხოეთშიაც შეიძლება გაიგზავნონ შემდეგ სპეციალისტებისთვის.

ყველა ეს ზომები მხოლოდ მაშინ გამოაღებენ შესაფერ ნაყოფს, თუ სხვა მხრივაც კარგათ გვაქვს ძველით საქმის მოწყობა. ყველაზე საჭირო რკინის გზების ქსელი იქნება, ისინი ყოველი კუთხიდან უნდა აწვდიდნ ზღვის ნაპირს საქონელს. მთელს ქვეყანას უნდა აძლევდნ საშუალებას მიიღონ მონაწილეობა ექსპორტში. რამდენათაც ვიცით ჩვენს მთავრობას უკვე ჰქონია დასახული იმ მხრივ ფართო პროგრამა. ვისურვებთ, რომ ის მალე განხორციელდებულიყოს.

დაბოლოს ერთხელ კიდევ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბრწყინვალეთ გვესახება ჩვენ. ნურავის შეაფიქრებს ის, რომ ჩვენი ქვეყანა ასე პატარაა. რა უყოთ! ბელგიაც პატარაა. უფრო პატარა ვიდრე ჩვენი სამშობლო. არც ზღვის ნაპირი აქვს მას ჩვენსაგანთ კარგი, მაგრამ 1914 წ. ორასი გემი ჰქონდა მას, რომელთაც მილიარდის საღირალი საქონელი შეჰქონდათ და გაჰქონდათ წლიურათ.

ე. ჩ.


### ჯარის კაცის აღზრდა

იაპონიაში \*)

სამხედრო სპეციალისტების აზრით, იაპონიის ჯარის კაცს თავისი საქმის ცოდნით, ტექნიკური განვითარებით და

\*) ჟურნალი—Общество ревнителей воен. знаний.

სიმამაცით თითქმის პირველი ადგილი უჭირავს დედა მისი ყველა ერების ჯარებში.



ჯარის კაცის აღზრდა იაპონიაში დროდან არ იწყება. მათი აღზრდა არ ხდება ერთბაშად და არც იმ მოკლე დროს განმავლობაში, როდესაც ის იმყოფება თოფის ქვეშ რაზმში, არამედ ჯარის კაცის აღზრდა ეკუთნის თითონ სახელმწიფოებრივ წესწყობილების სისტემას და თითონ ხალხის ყოფა ცხოვრებას.

იაპონიის ჯარის კაცის შეხედვისათანავე მნახველი უსათუოდ აქცევს ყურადღებას: ა) მის ცოდნას და მომზადებულებას, ბ) მის თავისუფალს ინიციატივასა და მოქმედებას ომის დროს, იმ ხალისს, რომელითაც ის ასრულებს ყოველივე საქმეს.—მუდამ გამჭირახობა, მოფიქრება, დაკვირვება და სისწრაფე ყოველ საქმეში.

მათ ვერ შეატყოფთ, რომ უფროსებისაგან შეზღუდული არიან; ისინი არ გრძნობენ ზურგს უკან უფროსებს მათრახებით ხელში. თითველმა მათგანმა იცის და დარწმუნებულია მასში, რომ ყოველი უფროსი მათ ექცევა პატივით და დიდის ყურადღებით პატივსა სცემს მის პიროვნებას. იცის, რომ მათი დისციპლინა აგებულია არა სასჯელზე, არამედ ოფიცერთა და ჯარის კაცთა ურთიერთ სიყვარულზე და ნდობაზე.

ყველაფერი ეს არის იმის გამო, რომ ჯარის კაცის მომზადება იწყება ჯერ ბავშობიდანვე, შემდეგ გრძელდება შკოლაში სწავლის დროს. და სრულებით თავდება ყაზარმაში.

#### 1) როგორ პირობებში ზრდიან იაპონლები ბავშვებს შინა და შკოლაში.

იაპონელი ბავშვი, დაბადების პირველ დღიდანვე, სპარტანული აღზრდის პირობებში იმყოფება; ცოტა ბრინჯი ანუ ლობით და უქმე დღეებში გამხმარი თევზის ნაჭერი მისი მუდმივი საზრდაა. ტანსაცმელი, ლოგინი და სახლის მოწყობილება ისეთი ღარიბული აქვთ, რომ ევროპული მნახველები განცვიფრებაში მოდიან. ასეთი ცხოვრების პირობებში უზღება მათ ყოფნა მთელი თავისი სიცოცხლე.

იაპონელმა, რომ თავი გამოიკვებოს უნდა იმუშაოს ათჯერ მეტი, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოს ხალხმა, ამის გამო ის ბავშვობიდან ეჩვევა შრომის მოყვარებას. მშობლები მთელ თავის ყურადღებას პატარების აღზრდას აქცევენ, ისინი მათ არ ანებიერებენ, ცდილობენ გაუნვითარონ მათ ზნეობრივობა, ასწავლიან რბილად, წყნარად და დიდის სიყვარულით; აჩვენენ ტანის სისუფთავეს, ზრდილობიანობას, სიამაყეს, მაგრამ ამასთანავე სხვისდამი სიყვარულსა და პატივის ცემას. იაპონია ბავშვების აღმზრდელი ქვეყანაა.

თითონ ბავშვების აღზრდა სრულიად გარკვეული და შეთანხმებულია სახელმწიფოს საერთო წყობილებასთან. ბავშვებს პატარაობიდანვე უამბობენ სხვა და სხვა გმირების ისტორიას და მათ საგმირო საქმეებს, ბავშვი ბუნებრივად ეცნობა სამხედრო პატიოსნებას, გმირობას, თავდადებულებას და მოხერხებულებას.

შექვებისამებრ, ბავშვებს ხშირად უჩვენებენ იმ ადგილს, სადაც გმირმა გმირობა ჩაიდინა ანუ მისი საცხოვრებელ სახლსა და კოშკს, ასე რომ მოთხრობები როგორღაც ჰკარგავენ ზღაპრულნ ხასიათს და სინამდვილის



ხასიათს ღებულობენ. ყველა ბავშს თავი მოაქვს და ამა-  
ყოფს იმითი, რომ მისი მამა ანუ პაპა გმირი იყო.

იაპონლებს საერთო ჩვეულებათ აქვთ ტეატრში მთე-  
ლი ოჯახობით სიარულისა. პიესების შინაარსი თითქმის  
99% ახლო წარსულიდან არის, სცენაზე უსათუოთ თა-  
მაშობს გმირი, რომელსაც მნახველები განცვიფრებაში  
მოჰყავს თავისი სიამაყით, მოქნილობით, მოხერხებულო-  
ბით, ღონითა, სისწრაფით, თავმომწონითა და სიამაყით.  
სცენაზე სისხლი იღვრება, გმირი ყველას სჯობნის. ბავ-  
შებითა და ქალებით საგსე თეატრები ბავშვებს თავი-  
დანვე უნერგვენ და აყვარებენ გმირობას და სამშობლო-  
სთვის თავდადებას.

(ქემდეგი იქნება)

**ავ. აბესაძე**

**ოფიცერთა სპიტიონი ჩვენს ჯარში.**

(სამხედრო სასწავლებელი).

რთულნი არიან ის მოთხოვნებიანი, რომელ-  
თაც ღღევანდელი პირობები უყენებენ ყოველს  
ოფიცერს. ჩვენ მაინც ვსცდით მათ აღნუსხვას:  
1) ოფიცერი უნდა იყოს პარველ ყოვლისა აღმზრ-  
დელი და მასწავლებელი მისდამი რწმუნებული  
რაზმისა. 2) მას უნდა ჰქონდეს ფართო სამხედრო  
შორსმჭვრეტელობა. 3) მას უნდა ჰქონდეს უნარი  
საკუთრივ მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება და შეუ-  
დგეს შესაფერ მოქმედებას. 4) მას უნდა ჰქონ-  
დეს საკმაო სიამაყე და გაბედულება. 5) მთელი  
მისი პიროვნება სანიმუშო-სამაგალითო უნდა იყოს  
მისი ხელქვეითებისათვის. ეს პირობები ერთგვარ  
მინიმუმს წარმოადგენენ. ოფიცერი რომელიც ვერ  
აკმაყოფილებს ამ მინიმუმს არ არის ღირსი, რომ  
მან თავის სახელი ატაროს და წინ უძღვეს სხვებს.  
განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა წარუყენოთ  
ეს მოთხოვნებიანი ჩვენ ჯარში მომსახურე ოფი-  
ცერებს, რადგან ჩვენი ჯარი ეხლა ეწყობა. საჭი-  
როა, რომ ჩვენი ოფიცერები თავიდანვე ისე კარ-  
გათ გაუძღვენ წინ საქმეს, რომ შინაც და გარე-  
თაც კარგი სახელი დაუმკვიდრონ ჩვენს ჯარს.  
სახეში უნდა მივიღოთ აგრეთვე შემდეგიც: სამო-  
ქმედო ასპარეზით ჩვენს ჯარს მუდამ მთიანი ადგი-  
ლი ჰქონდა და ექნება კიდევ. მთიან ადგილში  
ყველას მეტათ სჭირდება ოფიცერსაც და ჯარის  
კაცსაც თავისუფალი ინიციატივის და გაბედულე-  
ბის გამოჩენა. განსაკუთრებით წინამძღვრებისათვის  
იქნება ეს საჭირო თვისებები. ამიტომ ეხლავე,  
თავიდანვე უნდა ვეცადოთ, რომ ხეირიანათ დავაყე-  
ნოთ ამ მხრივ ახალგაზდა ოფიცერების ღზრდის საქმე  
უმოქმედო უნიციატივო და მხდალი ოფიცერები დაუ-  
ყოვნებლივ უნდა იქმნენ განდევნილი ნაწილები-

დან. არავითარ შემრალებას ან გულმტკინებლო-  
ბას მათ მიმართ არ უნდა ექმნეს ადგილი, რადგან  
არმია საქველმოქმედო დაწესებულება კი არ არის,  
არამედ საზოგადოებრივი ძალა, რომლის შექმნა და  
მოწყობა ძალიან ძვირათ უღირს სამშობლოს.

ჩვენი დასკვნა მაშასადამე ესეთია: ჯარს პირ-  
ველ ყოვლისა ხეირიანი ოფიცერები სჭირია. საღლა  
ვეძიოთ ან როგორ აღზარდოთ ისინი, აი კითხვა  
რომლის განხილვასაც ეხლავე შეუდგეთ. თავი-  
დანვე ულაპარაკოთ უნდა მივიღოთ, რომ ყმაწვილ-  
კაცს, რომელსაც სურს მიიღოს ოფიცრის ღირ-  
სება სპეციალური განათლება უნდა, ე. ი.  
სპეციალური სამხედრო სასწავლებელი უნდა გაათა-  
ვოს. მხოლოთ ამ უკანასკნელს შეუძლია მისცეს  
მას სისტემატიური და ამასთანვე მისთვის აუცი-  
ლებლათ საჭირო ცოდნა სამხედრო მეცნიერების  
სხვა და სხვა დარგებიდან. მასვე შეუძლია მხოლოთ  
ჩაუნერგოს ახალგაზდა კაცს საქმის სიყვარული და  
სწრაფვა წინსვლისა.

გამონაკლისი მხოლოთ ომიანობის დროს შეი-  
ძლება დაშვებულ იქმნას და ისიც მხოლოთ იმ  
პირობათვის, რომელთაც განსაკუთრებული ვაჟკა-  
ცობა გამოიჩინეს. თავისთავათ იგულისხმება, რომ  
აქეთი პირობიც უნდა აკმაყოფილებდენ იმ პირო-  
ბებს, რომელნიც ყოველ ოფიცერს მოეთხოვება.  
სპეციალური სასწავლებლის მოწყობა შემდეგი  
პრაქტიკული კითხვების გადაჭრას მოითხოვს 1.  
როგორ უნდა მოეწყოს სამხედრო სასწავლებელი.  
2. როგორ უნდა შესდგეს შეივსოს მის ხელმძღვა-  
ნელთა კომპლექტი; 3. როგორ უნდა შესდგეს და  
შეივსოს მოსწავლეთა რიცხვი; 4. როგორი უნდა იქ-  
მნეს სასწავლებლის კურსი და რამდენ ხანში უნდა  
გადიოდენ მას მოსწავლენი; 5. როგორ უნდა უშვებ-  
დეს სასწავლებელი კურს გათავებულებს?

**სამხედრო სასწავლებლის მოწყობა.**

პატარა არის ჩვენი სამშობლო, კიდევ უფრო პატარა მისი  
ჯარი. ისეთი სასწავლებლების სისტემას, როგორიც  
თუნდაც ძველ რუსეთში არსებობდა ჩვენ ვერ შევს-  
ძლებთ. ამას არც საჭიროება მოითხოვს. ჩვენ ერ-  
თი სასწავლებელიც გვეყოფა, მაგრამ სამაგიეროთ  
კარგათ მაინც უნდა იყოს ის გაწყობილი. ღიდ სა-  
ხელმწიფოებში, ჩვეულებრივ, სამხედრო სასწავ-  
ლებლები სხვა და სხვა ტიპისანი არიან და ცალ-  
ცალკე არსებობენ. ცალკე არსებობს სასწავლებელი  
ქვეითი ჯარის ოფიცრებისათვის, ცალკე ცხენოს-  
ნებისათვის, საარტილერიო და საინჟინერო.

გამონაკლისს წარმოადგენდა ამ მხრივ მხოლოთ  
სენსირის სკოლა (პარიზში), რომელიც ყოველი  
დარგის სპეციალისტებს უშვებდა. მისი ღირსება



შემდეგი იყო, მომავალი მებრძოლები სხვა და სხვა დარგებისა ერთად იზრდებოდნენ და ერთგვარათვე ითვისებდნენ ამა თუ იმ შეხედულებებს სტრატეგიული და ტაქტიკური კითხვების შესახებ. მათ შორის არ არსებობდა ის განკერძოება რომელიც ხშირად ძალიან მაგნე ნაყოფს იღებს ბრძოლის ველზე. ჩვენც ერთი ასეთი „alma-mater“-ი გვეჭირია და გვეყოფა კიდევ. მან უნდა ჩაბეროს ის ერთნაირი მხედრული და ამასთანავე ამხანაგური სული ინფანტერისტს, კავალერისტს, არტილერისტს და ინჟინერს, რომელიც დაუფასებელია ბრძოლის ველზე.

თავის თავათ ცხადია სკოლას ექნება საინფანტერიო განყოფილება, რომელიც ვთქვათ სამწყობრო ასეულს დაიტევს, საარტილერიო, საკავალერო, საინჟინერო. უკანასკნელები თითო მცირე ნაწილისთვის უნდა იყვნენ ნავარაუდები.

მიუბრუნდეთ ეხლა შემდეგ კითხვას, როგორღა უნდა შევავსოთ ასეთი სკოლის კონტინგენტი.

გავიხსენოთ, რომ სკოლა ოფიცრების მოსამზადებლათ იქნება დანიშნული, მაშასადამე საერთო განათლებისათვის საჭირო საგნებს მის კურსში ადგილი არ ექნება. არ ექნება, რადგან გართულებული სამხედრო მეცნიერებისათვის ისედაც ცოტადრო გვექნება. საერთო განათლებისათვის საშუალო სასწავლებელმა უნდა იზრუნოს. სპეციალურ სამხედრო სასწავლებელს კი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, მას უნდა ემსახუროს ის.

შრომის გასაადვილებლათ მოსწავლეთა კონტინგენტი რაც შეიძლება ერთგვარი უნდა იყოს, ამისათვის კი საჭიროა, რომ ვინც სპეციალურ სასწავლებელში ფეხს შესდგამს, საშუალო სასწავლებელი დამთავრებული უნდა ჰქონდეს. საკუთარის ცდით ვიცით რა დიდ შეღავათს წარმოადგენს საშუალო განათლება სპეციალური სამხედრო სასწავლებლისთვისაც.

გათავებებს თუ არა სამხედრო სასწავლებელს ახალგაზდა, მას მაშინვე უნდა ექნეს იმის უნარი, რომ აღმზრდელი მასწავლებელი და წინამძღოლი გახდეს ჯარის ნაწილისა. ამისათვის საჭიროა რომ იგი იცნობდეს ჯარის კაცს, მის გულს, მის სულს, მის ზნე ჩვეულებებს. ასეთ ცოდნას მის ვერაფერი თეორია ვერ მისცემს. მის შესაძენათ საჭიროა რომ ახალგაზდა რომელსაც სურს ოფიცრობა თვით იქცეს დროებით, რამოდენიმე ხნით მაინც, ჯარის კაცათ და ადგილზევე შეისწავლის ისე ვთქვათ მისი სულის კვეთება.

ჩემის აზრით საკმაო იქნება, რომ 4-6 თვე დაჰყოს ახალგაზდამ ასეთ პირობებში. ეს დრო დანაკობის ხანას უნდა შეურჩიოთ. ეს პრაქტიკუ-

ლათაც კარგათ მოეწყობა მაისში. **ქრისტეშობის** ლებული ახალგაზდა ზაფხულს ჯარში გაეცხროს. შემოდგომაზე კი სამხედრო სსწავლებელში შევა. მოიძვეება კი საკმაო რიცხვი ახალგაზდებისა, რომ სამხედრო სასწავლებლისთვის საჭირო კონტინგენტი შეავსოს? უსათუოთ! მხოლოდ შემდეგ პირობებში: პირველ ყოვლისა ჯარი უნდა მოეწყოს როგორც რიგია, შემდეგ ოფიცრების მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს (როგორც სამსახურის დროს ისე მისი მიტოვების შემდეგ) უნდა გაუმჯობესდეს იმდენათ რომ ოფიცრობას მიეხარებოდეს ახალგაზდა.

გენ. იმნაძე.

### ხელათის ჯავშნოსანი „ტანკები“

მრავალს მოეხსენება, რომ ეხლახან დასრულებულ საერთაშორისო ომში, ხმელეთის ჯავშნოსნები, ვგრეთ წოდებული „ტანკები“ დიდ როლს თამაშობდნენ სხვა ბრძოლის ტექნიკურ საშეაღებათა შორის, მაგრამ ბევრი არ იცნობს, თუ რა წარმოადგენს ინგლისელების მიერ გამოგონილი ეს ბრძოლის იარაღი. განსაკუთრებით მცირე ცნობა მივიღეთ თვით ტანკების მოწყობილობის შესახებ, რადგან ახლთ გამოგონილი იარაღის მოწყობილება საიდუმლოთ იყო აღიარებული თვით მოკავშირე რუსეთის ჯარისთვისაცკი.

ვინდან მოსალოდნელი გახდა ტანკების გამოჩენა გერმანიის ჯარის რუსეთის ფრონტზე ამიტომ დასავლეთის რუსეთის ფრონტის ჯარებს, 1916—17 წელს ზამთარში შეატყობინეს ტანკების მოქმედების შესახებ და მიუთითეს მათ თუ როგორც უნდა ებრძოლონ მათ წინააღმდეგ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბევრს საქართველოს რესპუბლიკის ჯარში მსახურს შეიძლება არ მისვლია მაშინ ეს ცნება და ამიტომ უინტერესო არ იქნება, თუ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე მკითხველს ტანკების შესახებ მივაწვდით ცნებას.

ტანკი—ეს ერთგვარი ჯავშნოსანია, რომელიც მსვლლობის დროს ისეთ მთამეშლილებას სტოვებს თითქოს მოცოცავს კუ,—ნამდვილათ კი გოგრებზე მოძრაობს. ტანკი თავისი ზომით არის დიდი, საშუალო და პატარა. პირველათ როდესაც დასავლეთის ფრონტზე ტანკებმა დაიწყეს მუშაობა, ისინი დიდ შთაბეჭდილებას არ სტოვებდნენ გერმანელებზე, მაგრამ ომის ბოლოს მათ ძლიერ გაურბოდნენ. ალბათ, ტანკები ამ დროსთვის კიდევ უფრო გაუმჯობესდეს. ტანკი შეიარაღებულია თოფებით, ტყვისმფრქვეველებით და მსუბუქი ზარბაზნე-



ბით, სამ დიუმიანამდე. ტანკებიდან ისროდენ ყუმბარებს უშვებდენ მხრჩოლავ გაზებს და ჰვენდენ ტყვიის ცეცხლს სანგრების გასწრივ და გამაგრებულ ბოზიციებზე. როგორ თავდასხმის დროს, ისევე კარგი მოგერების დროს ტანკები მეტათ გამოსადეგია. ტანკები ადვილათ გორავს ორღოჩოღორო ადგილებში, სწყვეტს მავთულხლართს და ანგრევს სანგრებს. მხოლოდ ქაობებში, ტყე და არხი სიგანით 2 საჟენამდე და სიღრმით 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> საჟ. უშლის მის მოძრაობას.

თავდასხმითი ბრძოლის დროს მოწინააღმდეგის გამაგრებული პოზიციების გარღვევისას ქვეითი ჯარის წინ უშვებდენ ტანკებს, ამ შემთხვევაში ტანკები დამხმარე როლს თამაშობენ და არა უმთავრესს. საშიში იყო არა თვით ტანკები, არამედ მათ მიერ დაფარული უკან ჯარი, თუცა ტანკებიც თიდ როლს თამაშობდენ. ტანკები აფორიაქებდენ მოწინააღმდეგეს და ასრულებდენ დიდს საქმეს: გამაგრებულ პოზიციებს გასწრივ სროლას.

ტანკების წყობა იერიშის დროს გაფანტულია. მოძრაობენ ისინი ორ ხაზზე ქადრაკული წესით. ტანკები ერთი მეორეს შორავენ 200—300 ნაბიჯით და ამ დროს ყველა სხვა და სხვა ზომის ტანკი ბოქმედებს.

ტანკის საწინააღმდეგო ზომებია:

- 1) პირველათ ყოვლისა—არტილერია, რომლის ყუმბარას შეუძლია დიდი ტანკის გაფუჭებაც.
- 2) განსაკუთრებული ხანჯლებიანი რაზმი, რომელიც სანგრების პირველ და მეორე ხაზზე სდგას.
- 3) ტყვიის-მფრქვეველები ჯავშან-გამხვრეტი ტყვიით, მოქმედებს საშუალო და პატარა ტანკების წინააღმდეგ.
- 4) ჯავშნიანი ავტომობილები.
- 5) პიროქსილიანი გძელი ყუმბარები.
- 6) მსროლელთ და გრენადიორებს მარჯვეთ შეუძლიათ ისარგებლონ, როგორც პიროქსილიანი ყუმბარებით, ისე ხელის სასროლი ყუმბარებით.
- 7) ყოველგვარი ნაღმები სანგრების წინა და უკანა ხაზზე ან ჩამარხული ბრუსტვერზე ან ამოწეული იქიდან.
- 8) თუ სანგრების წინ ტანკის მოქმედებისათვის მისადგომი ადგილი მხოლოდ ზოგიერთ მიმართულებაზეა, მაშინ ამ მიმართულებაზე უნდა გაითხაროს არხები სიგანით 2 და სიღრმით 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> საჟ. ამგვარ არხებში ტანკი ვერ გადის და აქ შეიძლება იგი გავანადგუროთ ნოვიცკის ხელის სასროლი ყუმბარებით.

ა. ბ.

საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ისტორიული ნარკვევი

I

პატარა სახელმწიფო მუდამ განიცდის დიდი მეზობლის ზედგავლენას. ეს ისტორიული კანონია. მაგრამ არიან პატარა სახელმწიფონი, პატარა ერები, რომელთა ისტორია საუკუნეების განმავლობაში დიდი სახელმწიფოების ფარგლებში სწარმოებს. ამის მიზეზი ამ სახელმწიფოების გეოგრაფიული მდგომარეობაა. ჩვეულებრივ ესენი ან დიდი სახელმწიფოების, ან დიდი ქვეყნების შუა არიან მოთავსებულნი. მტრული ურთიერთობის დროს და ი. ი. ც. ორივე მხარე იარაღით ლაშობს იხმაროს სუსტი მეზობელი. უძლურების გამო ისიც წინააღმდეგობას ვერ უწევს ვერც ერთს და ვერც მეორეს და ამიტომ მუდამ დაჩაგრული რჩება. ქველს ისტორიაში ასეთ მდგომარეობაში ვხვდავთ სირიას და პალესტინას. წინააზიიდან დაძრული მტერი უსათუოთ ამ ქვეყნებიდან უნდა შესეოდა ეკვიპტეს; აგრეთვე ეგვიპტელებსაც ეს ქვეყნები უნდა ჩაეგდოთ ხელში სანამ წინა-აზიას შეესეოდენ. ასეთივე ბედი ადგა ახალს ისტორიაში ბელგიას. დიდ სახელმწიფოთა შორის მოთავსებული, იგი მუდმივი სწრაფვის ობიექტი იყო ძლიერი მეზობლებისათვის. ხან ერთს ჩაუვარდებოდა ხელში და ხან მეორეს, რომ არც ერთს არ შერჩენოდა საბ-ლოოთ. სამასი წელიწადია მას დარაჯა უღვას ძლიერი ინგლისი მაგრამ მანაც ვერ ააცდინა ჩვენს თვალწინ მას სხვისი დროებითი, მაგრამ მწარე უღელით.

დასახელებული ქვეყნების დღეში იყო დღიდან დაარსებისა, მთელი თავის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ჩვენი საბზობლოც. ესეც მისი გეოგრაფიული მდებარეობით, სტრატეგიული მნიშვნელობით აიხსნება; ისიც სირიასავით ორ ქვეყანას შორის იყო ხიდათ, ისიც ბელგიასავით ძლიერ მეზობელთა შორის იყო შეჭრილი. თუ უძველეს სამეფოებს თავს დავანებებთ, აზიურ სახელმწიფოთაგან მას სხვა და სხვა დროს მეზობლობდენ: ასემენიანთ სპარსეთი, არაქუნთანთ სამეფო, სასანიანთ სპარსეთი, ხალიფატი ოსმანები და სხვა. ევროპიულ სამეფოთაგან: რომი, ბოზანტია და სხვა.

რომი და ბოზანტია არასოდეს არ ყოფილან თითქმის მეზობლურ განწყობილებაში აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოებთან. ეს უკანასკნელებიც აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდენ მუდამ მათ წინააღმდეგ. ორივე მხარე ცდილობდა ჩვენი სამზობლო იარაღთ ეხმარა. საუბედუროთ გეოგრაფიული პირობები არ უწყობდენ ხელს ჩვენში



დიდი სახელმწიფოს აღმოცენებას. საქართველოს არ შეეძლო ამიტომ ძალით, იარაღით ხელში დაცვა თავის სუვერენიტეტი, მას ძვირათ თუ ჰქონია ამიტომ შემთხვევა საკუთარი პოლიტიკა ეწარმოებინოს. იგი მუდამ სხვისი პოლიტიკის ობიექტი იყო. ძლიერი მეზობლები ფასს სდებდნენ საქართველოს როგორც მტრის წინააღმდეგ აღმართავ ზღუდეს. შემდეგ ისინი ხმარობდნენ მას, როგორც სტრატეგიულ მასას. ასე იყო მაგალითათ ხისრისა და იუსტინიანეს ომის დროს. კიდევ ერთი მხრით იყო დასაფასებელი საქართველო. ყველამ იცის, რომ ძველათ ჯარი სრულიათ არ იყო ისე დიდი როგორც ეხლა არის, ურკინისგზოთ უტელეფონოთ, უტელეგრაფოთ და სხვა. წინათ ვერ მოაგროვებდნენ, ვერც გამოჰყვებოდნენ და ვერც მოიხმარდნენ დღევანდებურ უზარ მაზარ მასსას. განსაკუთრებულ სიბნელეს წარმოადგენდა წინათ შორეული ლაშქრობის მოწყობა. ამიტომ ასეთ ლაშქრობებში ჩვეულებრივ ცოტა ძალები იღებდნენ მონაწილეობას. სულ ტყუილია ის რასაც ძველი მწერლები მოგვითხრობენ ქრეჩის ან დარიოხის მილიონიან ჯარებზე. სამხედრო სპეციალისტების აზრით საბერძნეთში შეჭრილი სპარსელების არმია 65 ათას კაცს აღემატებოდა. თუ შივიდებ ყველა ამას მხედველობაში ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება, როგორა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საქართველოს სამხედრო ძალას აღმოსავლეთზე გალაშქრებულ დასავლეთისთვის, ან დასავლეთის წინააღმდეგ გალაშქრებული აღმოსავლეთისათვის. ისტორიული ფაქტებიც არსებობენ ამის დასამტკიცებლათ. რომაელი მწერლები სამართლიანათ აღნიშნავენ, რომ სომხეთის მეფე არტავაზდას რომ არ ეღალატნა მარკანტონისთვის და მიშველებოდა პართელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს, მისი ჯარი არ დაიღუპებოდა. ყველამ იცის აგრეთვე რა როლი ითამაშა ქართველმა ტომებმა ბიზანტიის იმპერატორის ერეკლეს ლაშქრობის დროს ხოსრო ფარვების წინააღმდეგ. ცნობილია აგრეთვე რა ცუდი შედეგები მოყვა ბიზანტიისთვის კინეტანტონე მე IX—I დროს ქართველი მილიციის მოსპობას. აქ დახმარებაზე იყო ლაპარაკი, ეხლა წარმოიდგინეთ, რომ მცირე აზიაში შეჭრილ სპარსულ ჯარს ფლანგიდან ბისანტიის მოკავშირე საქართველოს ჯარი ესხმის თავს. ან კიდევ დაუშვით, რომ სპარსეთის ტერიტორიაზე მყოფ ბიზანტიის რაზმებს, სპარსელთ მოკავშირე ქართველები ექცევიან უკან. ადვილი მისახედრია რა მდგომარეობაში ჩაადგებდა ესეთი შემთხვევა ერთს ან მეორე მხარეს. ასეთი შესაძლებლობა კი

მუდამ არსებობდა, რადგან საქართველომ მუდამ ფლანგზე მდგომ ძალას წარმოადგენდა სპარსეთისთვის. ეს კარგათ ესმოდათ მათ ამიტომ სდებდნენ ისინი დიდ ფასს საქართველოს. მოვიგონოთ, მუდარა რომლითაც იმპერატორმა კონსტანციმ მიჰმართა სომხებსა და ქართველებს, როდესაც ის სპარსელებზე სალაშქროთ ემზადებოდა. იმპერატორი ვევედრებოდა მათ არ ეღალატნათ მისთვის და ლაშქრობის დროს მეგობრული ნეიტრალიტეტი დაეცვათ. ადვილი გასაგებიცაა ეს მუდარა: ჩვენ თვითონ ვიხილეთ რა დიდი როლი ითამაშეს მსოფლიო ომში პატარა სახელმწიფოებმა. ბელგიამ თუ შესძლო საფრანგეთის გადარჩენა ან ბულგარეთმა გერმანიის დაღუპვა, ფლანგზე მდგომ ძალას საქართველოსაც შეეძლო მეტათ უხერხულ მდგომარეობაში ჩაედო ორივე მოპირდაპირე. ადვილი გასაგებია მაშასადამე რომ რომი და ბიზანტია ისეთივე თავგამოდებით იცავდნენ საუკუნების განმავლობაში საქართველოს ხელუხლებლობას, აღმოსავლეთის სახელმწიფოების მხრივ, როგორითაც ინგლისი იცავს ბელგიის ნეიტრალიტეტს. არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც სტრატეგიულათ სრულიათ განსაკუთრებულ ფასსა სდებდა ჩვენს სამშობლოს. საქართველოსჩრდილოეთით მოჰყვება ე. წ. „ველიკაია რუსსკაია როვინა.“ ეს ქვეყანა თითქმის განგებაა დიდი სახელმწიფოს სარბიელათ მოწყობილი. მართალია ისტორიას ძვირათ უხილავს აქ დიდი სახელმწიფოა მაგრამ სამაგიეროთ აქ უსველესი დროიდანვე უზარმაზარი ურდოები ბინადრობდნენ. ისინი ონავარის ცხოვლის თვალთ მისჩერებოდნენ კულტურულ წინააზიურ სამეფოებსა და მუდამ იმას ცდილობდნენ შესეოდნენ მათ მდიდარ პროვინციებს და აეკლოთ ისინი. მაგრამ ეს არც ასე ადვილი მოსახერხებელი იყო. საქართველოს თუმცა არ მოექვებოდა საქმაო ძალა მათ საწინააღმდეგოთ, მაგრამ სამაგიეროთ თვით ბუნებას აეგო აქ ისეთი გრანდიოზული ბარიერი, ისეთი დიდი ზღუდე, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ დასთრგუნავდა. ეს გახლდათ კავკასიონის ქედი; ამ ქედს მხოლოთ რამდენიმეგანა აქვე გასავალი, რომლითაც დიდს ჯირსაც შეუძლია ისარგებლოს, მაგრამ ამ გასავლების დაცვა არც ისე ძნელია. ზოგს მათგანს უძველესი დროიდანვე საქართველო სდარაჯობდა და სდარაჯობს დღემდისაც. აი ამ კარებს ჰქონდა მუდამ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ისინი სდებდნენ სხვათა შორის ჩვენს სამშობლოს; სრულიათ განსაკუთრებულ ფასს. ჩვენ ჩამოვთვლით ქვემოთ რამდენი უბედურება



დასტებია თავს ამ კარებიდან დიდ სამეფოებს და მაშინ ადვილი გასაგები იქნება ჩვენთვის რატომ ცდილობდა ყოველი წინააზიაში გაბატონებული სამეფო უსათუოთ კავკასიონის ძირამდე მიეწია თავის საზღვრებში და ბუნებრივ საზღვრათ ეხმარა მისი გადაუვალი ქედი.

ა. სვანიძე.

სანაინის ფრონტი სანიტარული მხრით.

(დასასრული) 1)

აშაგა-სერალში მისვლისათანავე დავრწმუნდით, რომ სანიტარულის მხრით ვკოჭლობდით. სანიტარული პერსონალი ცოტა გვყავდა, არ გვქონდა საწინაო შემხვევი პუნქტი, არავის ჰქონდა კარავი, არ მოიძებნებოდა თავისუფალი შენობა. მოუწყობელი იყო ევაკუაცია.

ჩვენი ჩასვლისას მტერი მოკალათებული იყო შულავერის მთებზე.

ჩვენ მიზნათ დავისახეთ ამ დაბის აღება; ამისთვის გენ. მაზნიაშვილმა ჯარი დაჰყო 3 ნაწილათ.

მარჯვენა ფრთას გენ. ჩხეტიანის მეთაურობით (მე-5 პოლკი, გორის ს—ფ. 200 გვარდიელი და სხვა მცირედი ნაწილები) უნდა შემოევლო ჩრდილოეთით დალიკტაშის მთით.

მარცხენა ფრთას გენ. წულუკიძის მეთაურობით უნდა შემოევლო იუხარი-სერალით და დამიით.

გენ. სუმბათაშვილის ნაწილებს (ოფიცერთა მოხალისე რაზმი, ლეგიონი და სხვა) უნდა პირდაპირი იერიში მიეტანათ შულავერზე.

პოლკ. კონჩოშვილს და მაჭავარიანს დავეალათ შემოვლა იმ გორისა, სადაც იღვენ სამტრედიელი და ხაშურელი გვარდიელები და გადალახვა 557 სიმაღლისა. \*)

თანამად ამ გეგმისა, ამ წერილის ავტორს უნდა მომეწყო 3 საწინაო შემხვევი პუნქტი. ვინაიდან სანიტარული პერსონალი არ გვყოფნიდა, ჩვენ დავჯერდით ორს.

მარჯვენა ფრთაზე მუშაობდა ექ. მოსეშვილი, შუაზე—რეკვაზა.

უმთავრესი შემხვევი რაზმი ჯერ არ ჩამოსულიყო, ამისთვის მისი მოქმედების როლის ასრულება დავაკისრეთ გვარდიის ექ. ტყემალაძეს, რომელიც ჩვენთან შედარებით კარგათ იყო მოწყობილი. გამოვნახეთ ერთი პაწია ოთახი. პუნქტზე

სამუშაოთ გამოვიწერეთ თფილისიდან ქარი და 4 ფერშალი. ევაკუაციის გამგეობა მივანდევთ ექ. დემურბას, რომელმაც გამოიწია 2 სანიტარული ვაგონი და 1 მესამე კლასისა დაჭრილთა და ავთამყოფთა მისაღებათ. მანვე გამოიწია ტყვეობიდან გამოქცეული ერთი ფერშალი, დაღლილ ჯარის-კაცებისაგან ექ. დ—მ 15 ჯარის კაცი რომელთაც იკისრეს სანიტარები სროლის ასრულება. საწინაო შემხვევ რაზმებს აკლდათ სანიტარული ურმები, შესახვევი მასალა, მაგრამ გვარდიელების დახმარებით იოლათ მივდიოდით, ურმებს თავ-თავის დროზე უგზავნიდით და მოთხოვნილებისამებრ ვაწვდიდით შესახვევ მასალასაც; კარგების უქონლობის გამო, ექიმები მუშაობდენ ურმებზე—ზირდაპირ ცის ქვეშ. ოთახი, სადაც მოთავსებული გვქონდა უმთავრესი შემხვევი პუნქტი, ისე პაწაწა, უხერხული და უსუფთაო იყო, რომ იქ რაიმე ოპერატიული დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი იყო, შეიძლებოდა მხოლოდ ხელ-მეორეთ შეხვევა და, ისიც, დიდის სიფრთხილით, ვინაიდან ქრილობაში ინფექციის შეტანა ადვილი იყო; მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, კარგები რომ გვქონოდა. ექ. იოსელიანმა სანიტარულ ვაგონის განყოფილებაში მოიფიქრა საოპერაციოს გახსნა და კიდევაც მოაწყო ეს, მაგრამ, ვინაიდან ვაგონის კიბე-კარები დაჭრილთა ასატან-გადმოსატანათ უხერხული იყო, მუშაობაც ვერ მოეწყო კარგათ. გენ. მაზნიაშვილის განკარგულებით სურსათს (ჩაის, შაქარს, პურს, ხორცს) გვადლევდენ რამდენიც გვინდოდა, მაგრამ ქურჭელის უქონლობის გამო, ჩაის თავის დროზე ვერ ვადუღებდით და სადილს თავის დროზე ვერ ვხარშავდით. ამ პირობებში, რასაკვირველია, ძნელი იყო ნაყოფიერი მუშაობა, დიდ შვებას ვნახულობდით მხოლოდ მაშინ, როდესაც მოდიოდა სანიტარული მატარებელი, რომელსაც შეეძლო 150 დაჭრილისა და ავთამყოფის მიღება და მოვლა. ბოლოს დიდი სამსახური გაგვიწიეს, როგორც წითელი ჯვრის და ქალაქთა კავშირის, ისე უმთავრესმა შემხვევმა რაზმებმა, რომლებიც კარგათ იყვნენ მოწყობილნი და ყავდათ შესაფერისი სანიტარული პერსონალიც. სამწუხაროთ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველა ეს დაწესებულებანი გვიან ჩამოვიდნენ; ბოლო დროს ქალაქთა კავშირმა გამოგვიზავნა 75 ცალი ნაბდის კარავი, რომლებითაც ჩვენც ვისარგებლეთ ავთამყოფთა მისაღებათ.

მოკლე შეტაკებანი პოზიციებზე ყოველ დღე ხდებოდენ. დაჭრილებიც თან და თან მოგვდიოდა. 28 დეკ. დაიწყო საერთო შეტევა: მარცხენა და მარჯვენა ფრთა მწყობრათ უვლიდა შულავერს, შუა-კოლონა თამამად აღიოდა მთებზე. 28 დეკემ.

1) იხ. „რ. ჯარი“ № 9.  
\*) წინა №-ში შეცდომით იყო დასახელებული სხვა მადლობი.



სალამოთი მარცხენა ფრთამ მამაცათ გაარღვია სომხის რკალი. ამ დროს მარჯვენა ფრთა შეიჭრა შუალავერში, შუა-კოლონამ გადალახა მთები, მტერი შედრკა და იბრუნა უკან პირი; ჩვენი ჯარი დაედევნა მას ფეხ და ფეხ. 30-ს ჩვენი ჯარი სადახლოს მთებზე იდგა. მტერი იხვედა უკან, ისმოდა თოფ-ზარბაზანი ზუზუნი. ამ დროს მოგვივიდა ბრძანება შეგვიჩერებინა ბრძოლა... ჯარიც გულის ტკივილით შეჩერდა, უნდოდა მტერი საზღვრამდე მანაც მიეგდო ცემ-ტყეპით.

24 დეკემბრიდან ომის გათავებამდე ჩვენ ხელთ გამოიარეს 253 დაჭრილმა, 602 ავადმყოფმა. თითქმის ამოდენმა რიცხვმა გამოიარა გვარდიისაგან ეკატერინოფელით და სანდარით.

იმ მიზეზის გამო, რომლებზედაც მოვახსენებდით დაჭრილებს ვერ უფლიდით ჯეროვნათ. სანიტრების უყოლობის გამო არა ერთი და არა ორი იყო მაგალითი, დაჭრილების გვიან მოყვანი ა. სამაგეროთ როგორც ზემოთ იყო ნათქვამი სურსათით, ტანით, ფეხით ჩვენი ჯარი სრულიად უზრუნველყოფილი იყო, უკეთესი პირობები მე არსად მინახავს. ავადმყოფთა შორის იყვნენ ფეხდაზრულები რადგანაც ზოგიერთ ჯარს კაცებს, წულები ეცათ. 24, 25, 26, 27 დეკ. კი მეტად ცივი დღეები იყო. ბოლო დღეებში, ავადმყოფებ შორის გვხვდებოდა წინწყლოვან-ტფიანები. სამწუხაროთ, მათ იზოლიაციას ჩვენ ვერ ვახერხებდით: არ გვქონდა შენობები, კარები, სადგინოფექციო მასალა და სხ. საინფექციო ავადმყოფობას ჩვენ ჯარში ადგილი არ ჰქონია. აი მოკლე ცნობანი სანაინის ფრონტის სანიტარულის მდგომარეობის. მაინცა და მაინც ბევრს სანუგეშოს მასში ვერავინ დაინახავს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ როგორ მოულოდნელათ დაიწყო ომი და მოულოდნელათვე გათავდა. მიუხედავად იმ პირობებისა, რომლებშიაც მუშაობა გვიხდებოდა, ჩვენ არც ერთი დაჭრილი და ავადმყოფი არ მიგვიტოვებია არ მიგვიღია არც ერთი მათგანი, რომლისათვისაც არ აღმოგვეჩინა ესა თუ ეს დახმარება.

**ექიმი ახვლედიანი.**

**ჯარის მოწყობა ჩვენში.**

ჩვენ სამხედრო საქმეს სომეხთის მთავრობამ ომის გამოცხადებით დიდი სარგებლობა მოუტანა. გამოიღვიძა ღრმა ძილიდგან ქართველმა ხალხმა და თავის დასაცავათ ხელი მოკიდა იარაღს. ვისაც კი შეეძლო იარაღის ხმარება, თხოულობდა ომში გაგზავნას. ჯარის კაცი, რომელმაც წინათ სამსახურს თავი დაანება, მოვიდა, ბოდიშს ითხოვდა და

იხვეწებოდა ომში გაგზავნას. მე თორმეტი ვიყავი ამისთანა მაგალითისა: მე-6-ე რაზმს თელავიდან მოყვა ერთი კახელი, მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ბ-ნო, მომიწყვე საქმე რომ მე-6-ე რაზმის უფროსმა თავის რაზმში მიმიღოს, მე ძველი ჯარის კაცი ვარ, ავსტრიაში ტყვეთ ვიყავი, ყველა ჩემი ამხანაგები საომრათ ჩამოვიდნენ და მე კი არ მიყავართ“. მე უთხარი: მიმართე მე-6-ე რაზმის უფროსს და ის მიგიღებს თავის რაზმში. მან მომგო მე-6-ე რაზმის უფროსს არ სცალია და უარს მეუბნებო ამის შემდეგ მე ის გაგზავნე ღენერალ მაზნიაშვილთან; ჩამოდენიმე საათის შემდეგ ის ჯარის კაცი შემხვდა და გახარებულმა მითხრა რომ ის უკვე მიიღეს რაზმში. ამისთანა მაგალითი ბევრი ვნახე ამ ომში, მაგრამ ნდობას ცოდნაც სჭირდება. ამისათვის ჩვენ უნდა მოვაშალოთ ახალგაზრდები, რომ იყვნენ საკმაოდ გარწვთნილნი და გაჭივრების დროს ყველას შეეძლოთ დახმარება. პირველათ ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ ის პირობები, რომლიც ჯარის კაცებს ხვდება პირველათ ყაზარმებში მოსვლისას. ჯარის კაცი არ უნდა უყურებდეს ჯარს როგორც საფრთხიბელას. ყიზარმები უნდა მოეწყოს ისე, რომ იქ ყოფნა სასიამოვნოთ დარჩეს.

ჩემის აზრით აფიცრები ძალიან ცოტა დროს ანდომებენ ჯარის კაცებთან სალაპარაკოთ. ესლა რაზმებში აფიცრების რიცხვი საკმარისია და ადვილათ შეუძლიათ ყოველ დღიურ ბაასით მათ შორის ნდობა მოიპოვონ. ეს უნდა შეიგნონ ჩვენმა ოფიცრებმა.

რადგანაც ჩვენ პატარა ტერიტორიას არ შეუძლია მუდმივი ჯარის კაცის რიცხვი დიდი ყავდეს, ამისათვის საჭიროა ჩვენ ვიყოლიოთ საკმარისი სათადარიგო ჯარი, რომელსაც გავლილი უნდა ქონდეს სამხედრო ხელოვნება. განათლების სამინისტრო უნდა დიენხმაროს სამხედრო სამინისტროს და სკოლებში უნდა იყოს მიღებული სხვათა შორის სამხედრო ვარჯიშობა. უკანასკნელ ომში ჩვენ ჯარში იყვნენ ბევრი 16—17 წლის ვაყები. როდესაც მე ერთ მათგანს ვკითხე: ახალგაზდა, შენ თოფის ხმარება იცი—თქო, მე პასუხი მივიღე: კორპუსში ვსწავლობდი და თოფის ხმარება ვიციო. დრო არ გვაქვს და მომზადებას უღვიდნენ უნდა შეუდგეთ. როდესაც მაგარი ნიადაგი იქნება მაშინ ჩვენს თეთრ გიორგის უღარდგელათ შეუძლია გაფრინდეს მზისკენ, სინათლისკენ და ციდან გადმოყუროს თავის მხარეს, რომლის მთარველია მრავალი საუკუნის განმავლობაში.

სახელა ჩ.



### სამხედრო ტანისამოსის (ფორმა) შესახებ.

ერთნაირი ტანისამოსი და მოწყობილობა ჯარისათვის შეადგენს სამხედრო ფორმას, რომელიც უნდა იყვეს: იაფფასიანი, ადვილათ სახმარებელი და ლამაზი.

ეს პირობები საჭიროა დაიდოს საფუძლათ მისი შემუშავების დროს.

ზოგიერთი პირები მოითხოვენ, რომ სამხედრო ფორმა იყვეს ნაციონალური ძვალსაზრისით შემოღებული, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ არა; ნაციონალური ტანსაცმელი, მით უფრო ჩვენი; არ დააკმაყოფილებს მოყვანილ პირობებს და არც ახალ დროის მოთხოვნილებას.

ჩვენ ხალხს ერთნაირი ტანისამოსი არ აქვთ — იმერეთში, გურიაში და ქართლ-კახეთში სულ სხვა და სხვა ნაირ ტანისამოსს ხმარობენ და იმიტომაც არ შეიძლება შემუშავდეს ერთნაირი ტიპი ტანსაცმელისა ჯარისათვის.

ნაციონალურ ტანსაცმელის მომხრეს აზრათ აქვთ, ჩოხა, ჩერქეზული, ან სვანური, რომელნიც სრულიად ვერ გამოხატვენ ეროვნულ სულს და მის მისწრაფებას, რადგანაც ეს ტანსაცმელი არ არის მარტო ჩვენი ხალხის კუთვნილება.

თუ მივიღებთ სხვა ქვეყნის ჯარებს მხედველობაში, დაინახათ, რომ არც ერთს იმათგან არ ქვთ ნაციონალური ფორმა და ყველა ხმარობს ევროპიულ ტანისამოსს.

ჩოხა, ჩერქეზული ანუ სვანური არის არხალუხზედ ზემო ჩასაცმელი და უერთიერთანეთოდ ჩაცმა მოუხერხებელია, ხოლო ორი ზემოსაცმელი დიდ ხარჯს გამოიწვევს.

გარდა ამისა, ჩოხას შეომრისთვის ისეთი შნო არ აქვს, ის გრძელია. სიარულსაც ძან უშლის, მეტადრე მთებზედ და ტალახში; თუ ჯარის კაცს დასჭირდება უცბათ მისი ჩაცმა, სამხედრო პირობების მოთხოვნილებით, არხალუხის შეკვრას დიდ დროს მოანდომებს.

რაც შეეხება ქულაჯას, ამაზედ არაფერს ვიტყვი, რადგანაც იგი კარგია მარტო სცენებზედ და ისტორიულ გამოფენებზედ.

მაშ რანაირი ტანისამოსი უნდა შემოვიღოთ ჩვენ ჯარისათვის?

უჩველათ ევროპიული.

თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას თუ რანაირი ტანისამოსი მოსწონთ ჩვენს მეომრებს, დავრწმუნდებით, რომ თითქმის ყველა ოფიცრობას და ჯარისკაცებს აცვიათ „ფრენჩი“.

ეს არის ინგლისში შემოღებული ზედსაცმელი

ხუთი დილით და ოთხი დიდი ჯიბით, ზემოთაქვენი ტანზედ.

ეს არ იყო ჩვენი ოფიცრობისთვის და ჯარისკაცებისთვის ფორმა, როცა ისინი რუსეთის ჯარში მსახურებდნენ, მაგრამ იმდონათ მოსაწონია ეს „ფრენჩი“, რომ ყველა ამას ხმარობდა.

ამის ხმარება ძან ადვილია და შედარებით სხვა ტანისამოსთანაც იაფია.

ბრძოლის დროს, ჯარისკაცს შეუძლიან აუარებელი პატრონები ატაროს თავის ჯიბეებში თუ პატრონ-საცვაფი არ აქვს.

ხმალი ანუ ლეკური არ არის საჭირო ოფიცრობისთვის, ეს კარგა დავგანახვა ომის პირობებში, როდესაც ოფიცრობა თოფებით მიუძღოდა წინ ჯარს და თავიანთ ხმლებს ზურგში სტოვებდნენ.

აბა შეხედეთ ინგლისელ და გერმანელ ოფიცრობას, რომელი იმათგანი ატარებს ხმალს?

არავინ!

რაც შეეხება რუსულ უშნო ბჭყვრიალა პოგონებს, მათი მოსაზობა საჭიროა. პაგონები უნდა იყვეს პატარა, ლამაზი და არა ბჭყვრიალა — ეს შეეფერება დემოკრატიულ ჯარს.

შეიძლება პოგონების მაგივრათ საყელოზედ კეთდებოდეს ხარისხების ნიშანი როგორც ეს ავსტრიის ჯარშია.

საჭიროა დღესვე გამოიცვალოს ფორმა ჩვენი ჯარისათვის.

გ. აქუაშვილი.

### ჯარნი და სოფლის ადმინისტრაცია.

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იმისა, რომ ასე გაძნელდა განსაზღვრული დისციპლინის მქონე რეგულიარული ჯარის შექმნა ის არის, რომ დღესაც მოუწყობელია სოფლის ადმინისტრაცია. იგი ვერ აქცევს ყურადღებას იმას, თუ რამდენი დეზერტირი ჰყავს თავის სარაიონოში, თუ როგორ სისწორით სრულდება მთავრობის განკარგულებანი ახალ-გაზდათა ჯარში გაყვანის შესახებ და სხ.. თავი და თავი ჯარის შექმნისათვის არის ცოცხალი ძალის ჯარისკაცის რაოდენობა რაზმებში და მათი განსაზღვრულ დისციპლინარულ ნორმებისადმი დაქვემდებარება. თუ ჯარის-კაცი რაზმში არ მოდის, თუ ის თავის-უფლად, უშიშრად განაგრძობს შინ ყოფნას და მახლობელი ადმინისტრატორი მის წინააღმდეგ არავითარ კანონიერ ზომებს არ ღებულობს, ცხადია, ჯარი ვერ შეიქმნება. ან და, თუ ჯარს არ მოეწონა რაზმებში დამყარებული დისციპლინა, სახლში გაიქცა და იცის, რომ მას არავინ ხელს არ ახლავს,



# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საარჩევნო ცენტრი

ცხადია, რომ ჯარის შექმნაზე და დისციპლინის დამყარებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

საქიროა ამას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, თუ გვინდა წესიერება დამყარდეს.

თ. ჩიქვანია.

## სადარაჯოზე.

თოფით ვიღიქი სადარაჯოზე.

ჩემთან მოვიდნენ და მიტხრის:

„შენ პოეტი ხარ და რა შენი საქმეა თოფითა-რალით დაცვა სამშობლოსი, შენ უნდა ხელოვნებას იცავდე, შენ უნდა პოეზიას ემსახურებოდეთ“.

უტიფარ კადნიერებად ჩავთვალე ასეთი შენიშვნა და ვსტევი თუ:

როცა სადარაჯოზე ვდგევარ, ან ზარბაზანს უშენ ჩემი სამშობლოსი, ან მშობელი ხალხის მტრებს—ვიცავ ხელოვნებას, სილამაზეს, სიბრძნეს კაცობრიობისას. ჩემი სამშობლო ისეთი ლამაზი, კვლუცი და სიმდიდრით შემკული ქვეყანაა, რომ ვერც ერთი მსოფლიოს ჰენიოსი ვერ შეჭმნიდა იმისთანა სრულს, ყოველ მხრივ დიად ნაწარმოებს, როგორც არის სამშობლო ჩემი...

...ჰო და განა მაქვს უფლება, არ დავიცა ასეთი ქვეყანა მოზღვავებულ რისხვისაგან, უცხო და უცნობ ხალხთა შემოსევისაგან?!

ჩემი ხალხი ისეთი დინჯი, კაცთმოყარე, ჰკვიანი, პურმარლიანი და გულწმინდაა, რომ ვერც ერთი სხვა ერი ჩემთვის ვერ გასწევს მის მაგიერობას.

ჰო და განა მე უფლება მაქვს, ასეთი ერი და თავისუფლება არ დავიცა თოფითა და ზარბაზნით ყოველისფერი კეთილის წამწყმენდ გადამთიელთაგან?!

როდესაც თოფითა ვდგევარ ჩემი სამშობლოს, ჩემი ერის დასაცავად—მე ვიცავ შოთას უზენაეს ხელოვნებას, თამარის ღვთაებრივ სილამაზეს, და ისინი ხომ მგზავსი შეილები იყვენ ჩემი ერისა, ჩემი სამშობლოს ბუნებისა?!

და თუ ჩემ სამშობლოს, ჩემ საყვარელ ხალხს გაქელავს გაუტანელი მოდგმა, რაღათ მინდა თავი ცოცხალი? მაშინ ვილასთვის, ან რილასთვის ვიყო ქვეყნად?...

როცა სადარაჯოზე ვდგევარ თოფით, ან ზარბაზანს უშენ ჩემი ქვეყნის მტერს, მე ვიცავ ხელოვნებას, პოეზიას, პატიოსნებას, თავისუფლებას და ვემსახურები პარნასს.

ი. შვედლიშვილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საარჩევნო ცენტრ-ცხელების ხანაში შევიდა. თუ დიდი მნიშვნელობა ქონდა იმ არჩევნებს, რომელსაც ამ ახლო წარსულში საქართველოს დემოკრატია ახდენდა,—როდესაც იგი თავის პოლიტიკურ-სოციალურ ნებას ამტკიცებდა,—მით უფრო უალრესათ მნიშვნელოვანია დღევანდელი არჩევნები, რომელიც დამოუკიდებელ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში —საქართველოში მიმდინარეობს. ყოველი მხრიდან აყაყანებული მტრები და ორგულნი. რომელთაც პირზე აკერით და გზაჯვარედინზე გამდგარნი გამუდმებით გაიძახიან:—საქართველოს ცალკე არსებობა და მისი დამოუკიდებლობის გამოცხადება მცირე ჯგუფის საქმე, ხალხს იგი არ უნდაო.—რომელნიც ბედავენ კიდევ საქართველოს დემოკრატიათ წაიპოვებინონ და მის მაგიერათ სიყუყუაც სთქვან.—აი მათ უნდა გასცეს შესაფრისი პასუხი საქართველოს ხალხმაც და თავისი მტკიცე ნების გამომუდგანებით ამ არჩევნებში ყველას, მთელ ქვეყნიერებს უნდა დაუმტკიცოს რომ იგი იცავს თავის დამოუკიდებლობას, თავის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ არჩევნებში კი გამოდის მრავალი პარტია. მათი ინტერესი და მოქმედების ღერძი ერთი საპატიო საკითხის გარშემო ტრიალებს. ეს დიდი და დიადი საკითხთა: საქართველოს დამოუკიდებლობა. დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვა...

ქალაქებში არჩევნები თითქმის დასრულდა. სიღნაღში, ოზურგეთში, ყვირილაში, ხონში, თფილისში უკვე მოხდა არჩევნები. არჩევნებიდან ყველაზე უფრო გამარჯვებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოწათა პარტია გამოდის. უმნიშვნელოვანესი და ღირსშესანიშნავი არჩევნები იყო თფილისის საქალაქო არჩევნები. თფილისი გამოიხსნა ტყვეობიდან. იგი გამოეგლიჯა ხელიდან მათ, ვინც ჩვენი არსებობის დაუძინებელი მტრები იყვენ და თფილისის თვითმართველობის ბედი ჩაბარდა მათ, ვინც სულით და გულით იცავს ჩვენს დამოუკიდებელ არსებობას

თებერვლის შუა რიცხვებში მოხდება საქართველოს დამუფრთხებელი კრიზის არჩევნები. ჩვენ დიდი იმედით შევეყურებთ ამ არჩევნებსაც და გვწამს, რომ ხალხი თვის მტკიცე ნებას გამოსთქვამს და თავისი ხმით საქართველოს დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ ნესწყობილებას მედგრათ მხარს დუქვოს.

საქართველო მიდის თავისუფალი და დემოკრატიული გზით. განსაკუთრებით ეს არ მოსწონთ ჩვენს მტრებს, რომელნიც შინაურ მტრებათაც მოგვლინებიან. სამუსლიმანო საქართველოში ნიადაგ დაკარგულნი ბეგები, რომელნიც ეყრდნობიან ოსმალთა ბანდებს, ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებენ და ბრძოლას აწარმოებენ. ოსმალეთის ურცხვი აგენტები და მათი დამქაშები აჯანყებას ვკვიწყობენ და ლამობენ ხალხსაც თვალი აუხვიონ და ჩვენს წინააღმდეგ აამხედრონ. მათ აჯანყებას პასუხს სცემს ჩვენი დემოკრატია. ახალციხის და ახალქალაქის მაზრაში სამხედრო წესები გამოცხადდა. ჩვენი მეომრები იარაღასმულ ბრძოლებს ებრძვის და დღეს არა ხვალ გაჰფანტანეს მათ და პასუხს აგებიებს ხალხის წინაშე.

მეორე მხრივ სოჭაში რეაქციონერები ჩვენს წინააღმდეგ მუშაობას განაგრძობენ,—მაგრამ აღსანიშნავი და ხაზგასასმელი გარემოება ის არის, რომ თვით სოჭის დე-



საქართველო  
საბჭოთაო  
საქართველო

მოკრატია მათ არ მიჰყვება და პირი საქართველოსაკენ აქვს. სოჭის მრავალ რიცხოვანმა კრებამ რუსთა ეროვნულ საბჭოს დაარსების წინააღმდეგ გაილაშქრა და ერთხმით აღიარა—საქართველო, რეპ(ვიონირები და შავრაზმელები კი მოქმედებას მაინც განაგრძობენ და ერთ ხანს საზღვრებზე ნახალისეთა ჯარებიც კი გროვდებოდნენ და მუჰარათ გეგელინებოდნენ. ჩვენს მთავრობას არ შეეძლო ამ ნოქლონიათის სათანადო უზრუნველება არ ამიერკავკასიის ინტერესის წინაშე უბრალოდ განუცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რომ სოჭის ოლქში მოხალისეთა ჯარის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მარტული მოქმედება იქნება იმავე დროს მარტული ნაბიჯი მოკავშირეთა სახელმწიფოების წინააღმდეგ. დამატებით, ბრიტანეთის ჯარების მთავარ-სარდალმა აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. გიგოჭორას, რომ ბრიტანეთის მთავრობამ შეაჩუქებინა გენ. დენიკინს, რათა მან დაიკავას საქართველოს მთავრობის ხელახლებილობა და თავი შეიკავოს საქართველოს წინააღმდეგ საქმეებში ჩარევისაგან ის საყოველთაოდ მოვლენა.

ბათუმის საკითხი კიდევ დამოუკიდებელია. ბათუმის ოლქის საბჭო კვლავ განაგრძობს თავის რეპ(ვიონირებულ მოღვაწეობას. მაგრამ ვთიქრობთ, რომ მალე ბათუმის საკითხიც სავსებით დამირიგდება.

13 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მუშაობა შეაჩერა. ჯერ კიდევ უთითებელია ის დიდი მუშაობა, რომლისაც ეს პარლამენტი იწყოდა. გაუჭიმელია ის შემოქმედებითი ინერჯია და უწყუარო უნარი, რომელიც მან თავის მუშაობის პროცესში გამოიჩინა. ისტორიას ეკუთვნის სიკვება და დასკვნა საქართველოს პარლამენტის მოღვაწეობის შესახებ და მომავალი დამფუძნებელი კრებაც, გვემს, არ გადაუხვევს იმ გზას, რომელზეც საქართველოს პარლამენტი იდგა.

ეს გზაა: საქართველოს დამოუკიდებლობის, და დემოკრატიული წესწყობილების დაცვა.

# მთიულაბი.

## I.

ამ სახელით აღნიშნავენ ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთ, რომელთა რიცხვში შედიან: ჩაჩელები, ინგუშები, ოსები, ყაზიკუმიკები, თავლინები, ლეკები და სხვები.

ამათ აკუთვნებენ (ადმინისტრაციულათ) თერგის მარჯვენა ნაპირის აქეთ მცხოვრებ ყაზახებს. დრო გამოშვებით ჩვენს საზოგადოებას ესმის, ვითომც ზემო-მოყვანილ ადგილობრივ მცხოვრებთა და ყაზახებს შუა მუშობლური განწყობილება არსებობს და ვითომც ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ჰსურთ შექმნანო.

მე ყოველთვის დიდი ეჭვი შებადებოდა ამ გვარი ხმების შესახებ და აი რატომ: ხუთი წელიწადი ვიცხოვრე ამ მხარეში; ბევრი კარგი მეგობარი და ნაცნობი მყავდა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. მათი უზიარობ მათ გულის ნადებს ჩვენს საზოგად-

დობას და მაშინ ყველამ თვით დაჰსკნას შეიძლება თუ არა ყველა ამ ხალხთა ერთს ორგანიზაციაში მოთავსება.

რუსები ამ ხალხისთვის ნამდვილი დედინაცვლები იყენ. წარმოიდგინეთ მთელ გროზნის ოლქისთვის ერთი სასწავლებელი არსებობდა და იქაც სწავლა რუსულად სწარმოებდა. დიდი მეცადინეობა დასჭირდა იქაურ ადმინისტრაციას იმისთვის, რომ შეგირდთა რიცხვი 30-მდე აეყვანათ.

შამილის დროიდან მოკიდებული (და წინედაც) ადგილობრივი მცხოვრებნი იმდენად შეწყუხებულნი, დევნილნი იყვნენ „ლინენი ყაზახებისგან“, რომ ბევრი მთლიანად დაიხვეწა ოსმალეთში, მოღვებისაგან მოტყუებულნი; უმეტესობა კიდევ აიყარა ბარის ნაყოფიერ ადგილებიდან შეიხიზნა მთებში.

გადასახლებულთაგან ოსმალეთში ნაწილი სიმშლით ამოწყდა, ნაწილი უბინობაში, მკირე ნაწილი მოიწყო მხოლოდ ახალ სამშობლოში და ძალიან ხშირი იყო ხეივანა—მუდამ რუსეთის მთავრობისადმი, რომ შემოეშვათ ისევე უკან თავიანთ მიწა-წყალზე, მაგრამ ყოველთვის გულცივი უარი ესმოდათ პასუხათ.

მთებში შეხიზნულებსაც არ დაადგათ უკეთესი დღე. მეტად მწირია ადგილი ამ მხარეში; არსად არ მოიპოვება ველ-მინდორი, დაბლობი და მდინარეების ფართო ნაპირები. ხალხი ღარიბულათ ცხოვრობს აქ.

დიდი უგზობაც არის, ის გზა რომელიც გენ. ერმოლოვმა გაიყვანა შამილის დევნის დროს, ისეთსავე საფლობ ქაობებს წარმოადგენს, როგორც ირგლივ მთელი ტყეები. ზამთარი აქ დიდი არ იცის და ამიტომ ვერ ჰყინავს ტყის გზებს, რომ ამ დროს მანც ისარგებლოს ხალხმა ამ ულრან ტყეებით. თუ ასეთი ამინდი შეხვდათ, ან თუ ვაიფაგლახით რამეს გაიტანენ ამ ტყეებიდგან ეს არის ნუჟრები და კუჟრები იფნისა, მუხისა და წიფლებისა, რასაც რუსეთში დიდი ფასი აქვს შედარებით.

გარდა ამისა მთავარ სეიბებზე რუსის მთავრობას ყოველ ოც-ორმოც ვერსზე აუშენებია ციხეები, სადაც მთელი წელიწადი სალდაფები იდგა წინეთ. რასაც აძლევდა მცხოვრებს ხენა-თესვისთვის ეს ღარიბი ბუნება, იმასაც ეს მგორე ხალხი ართმევდა ცხადლივ, თუ პარვით და ამიტომ ამბობს მთიული მწარე სიცილით თქვენ შეკითხვაზე: „კუნაკ; რათ იპარსავ თავსო!.. მეშინან, რუსმა არ მომწიქნოს იგო“...

ჩემი ნაცნობ-მეგობრები ადგილობრივ მცხოვრებთაგან ძალიან ვმღუროდნენ რუსის მთავრობას



და სულ ფაღვნიანებზე ოცნებობდნენ. ოსმალეთი, ვერ ვიტყვი, რომ არ უღიზიანებდა მათ ამ ოცნებებს.

თითქმის ყოველ წლივ მოდიან ამ მხარეში სხვა და სხვა ღირსების მოღობები მექა-მედინიდგან, ევლინებიან ხალხს როგორც მაჰმადის ჩამომავალნი და საამისო ნიშნებსაც აჩვენებენ ტანზე, რომ უფრო სარწმუნო ჰყონ თავის ქადაგებანი. რუსეთის მთავრობა ამ გვარსტუმრებს ძალიან თვალ-ყურს ადევნებდა, მაგრამ მათი მოსვლის აკრძალვა ვერ მოახერხა.

ზოგი ამათთავანი გაიძახოდა ყველა უნდა გადასახლდეს ფაღვნიანების სამფლობელოში ამ გიაურების ქვეყნიდგანო, ზოგნი ურჩევდა ხალხს სამშობლოში დარჩენილიყვნენ, აქ ემუშავნათ იმ იმედით, რომ მალე მოხვდებოდა მათ ალლახი და ფაღვნიანები.

ამ იმედებზე აშენებდნენ ჩემი მეგობრები თავიანთ მომავალ ბედ-იღბალს და თითქმის გულ ხელ დაკრეფილნი ელოდნენ ამ ბედნიერ დღეს. თვით ინტელიგენტებსაც კი სწამდათ ფაღვნიანების მომავალი გაბატონება მათს ქვეყანაში...

ლ. ცაგარელი.

### კულტურულ-განმანათლებელი საქმე ქართული ჯარში.

როგორც წინა წერილში ავლენსენთ კულტურულ-განმანათლებელ საქმეს ჯარში დიდი მნიშვნელობა აქვს და სწორეთ ამას მოაქცია ბ. სამხედრო მინისტრმა ურადღმა და შტაბთან დააარსა კულტურულ-განმანათლებელი სექცია.

საკულტურო-განმანათლებელი სექცია დაიყო სხვა და სხვა კომისიებთ, რომელთაც ევალება სხვა და სხვა კულტურული მუშაობა ჯარში. სასკოლო კომისიაში შედიან წევრებთ: ალ. გორგაძე, ლ. ცაგარელი, ლ. ოქუაშვილი. სცენის მომწობი კომისიაში: დ. ქარცივაძე, კ. ჩახანიძე, ვ. გორგაძე, სამეურნეო საფინანსო კომისიაში: თ. ჩიქვანია, ალ. ესაკია, გენ. გუდვანიშვილი, გიგნეურ კომისიაში: ექიმი ერისთავი, გამომცემელი კიველიძე.

სექციამ გადასწყვიტა ღებუბაგოს აგრეთვე წევრები თითო კომისიაში ორი ან სამ-სამი.

კომისიები უამრავ შეუდგენ მუშაობის. გიგნეურმა კომისიამ დადგინა მოაწყოს ხოლმე ღებუბები ჯარში სენის შესახებ, ამ მხრივ მან უამრავ მადადგა ნაბიჯი, და მე ნ რაზმში კომისიის თხოვნით წაიკითხა ღებუბა ივ. გომაროიძე.

სასკოლო კომისიამ დადგინა სთხოვოს ბ. სამხედრო მინისტრს, რომ დაარსდეს კურსები მასწავლებელ ინსტრუქტორების მოსამზადებლათ ჯარისათვის, რომელიც წერა კითხვას ასწავლიან წერა-კითხვას უცოდინართ. ამ მიზნისათვის კურსებზე უნდა იქმნეს გამოგზავნილი ჯარის ნაწილებიდან ასეულოდ, ესკადრონიდან თითო თითო ჯარის კაცი, რომელმაც კურსების გათავების შემდეგ თავთავიანთ ასეულებში უნდა ასწავლოს ჯარის კაცებს წერა-კითხვას.

სცენის მომწობი კომისია შეუდგა წარმოდგენების მოწ-

ყოფას ჯარში და ამ მხრივ სულ მალე შეიქმნება სცენის მოყვარეთა ჯგუფები, რომელნიც კულტურულ-განმანათლებელ მუშაობებს. სამუშეო მუშაობა აქვს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი კეთილ სინდისით ერთ გავაძღვება საქმეს.

ალ. გორგაძე.

## ქრონიკა

მათუმი სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეს გუბერნატორმა ნება არ დართო სოფქედაში მიტინგის გამართვისა.

— დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანია, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიღებული ცნობით, კარგად მიმდინარეობს. ხალხის ფართო მასსა დამფუძნებელი კრების არჩევნებით დიდათ დაინტერესებულა.

— საქართველოს პარლამენტის სხდომები შეწყვეტილიქნა. პარლამენტი დახურულად ჩაითვლება დღიდან დამფუძნებელი კრების მოწვევისა.

— საქართველოს წარმომადგენლათ დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან ლონდონში დაინიშნა დავით ღებუბაძე.

— ახალციხის მხარეში გენ. მაზნიაშვილი 5 თებერვალს საერთო შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე სოფელი გასწმინდა „ბანდებისაგან“. ჩვენი ჯარი წინ მიიწევს.

— სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის დადგენილებით გამოცხადდა ნაწილობრივი მობილიზაცია თფილისის და გორის სახალხო გვარდიისა.

— ჯარის დემობილიზაცია ინგლისში სიჩქარით სწარმოებს. იანვრის ბოლოს დარჩენილი იყო დასათხოვად 1 მილიონ 600 ათასი კაცი.

— ინგლისის პრესა იუწყება: შეიდეგმანი შეუძლებლათ სთვლის მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ საზავო პირობების ასრულებას. გერმანია ხელს მოაწერს ზავს, მაგრამ მაშინვე დაიწყება მისი ასრულების წინააღმდეგ გალაშქრება. სხვა სახელმწიფოებზე აღრე გერმანია აღადგენს წესიერებას.

— საზავო კონფერენციაზე ბრიტანეთი და იაპონია მოითხოვდა მათ გადასცემოდა გერმანიის ახალშენები შეერთებული შტატების აზრით ახალშენების საკითხი ხალხთა ლიგამ უნდა გადასჭრას.

— ბრემენში, სადაც დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოცხადდა, გერმანიის მთავრობამ ჯარი გაგზავნა.

— საქონლის სახალხო პალატის არჩევნებში შეიდეგმანის მომხრეებმა მიიღეს 40 ადგილი დამოუკიდებლებმა—15, გერმანიის დემოკრატებმა—21, სახალხო პარტიამ—5, ეროვნულ სახალხო პარტიამ—1 და ქრისტიან სახალხო პარტიამ—1.

— ყაუხში ოსმალთა ჯარების სავაკუაციოთ დარჩენილი პოლკოვნიკი ალი რაფად ბეი სამხედრო სამართალში იქნა მიცემული მოკავშირეთა და ოსმალეთს შორის დადებულ დროებითი ზავის დარღვევის გამო.

— ბერნის სოციალისტურ კონგრესს კამათი ჰქონდა იმის შესახებ, თუ ვინ არის დამნავე საერთაშორისო ომის დაწყებაში.

## მთავროვის მოაზრება, უოველ დლიური გაჯათი.

(ოფიციალური და არა-ოფიციალური გინყოფილებებით).

# „საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით — 120 მ., ნახევარი წლით — 60 მ., ერთი თვით — 10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზედ ხელის მოწერა მიიღება დილის 10-3 საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1-82.

## საკოლიტიკო და სალიტერატურო გაჯათი

# „სახალხო საქმე“

დიის 1919 წლისთვის: 1 წლით 140 მან., ნახევარი წლით 75 მან., სამი თვით 40 მან., 1 თვით 15 მან. ნომერი ეღირება სოფლად და ქალაქად 80 კაპ. რკინის გზის სადგურებზე — 1 მან.

ხელის მომწერო ვადამდე ფასი არ შეეცვლებაო რანაირადაც უნდა შეიცვალოს გაზეთის პირობები.

საფოსტო მისამართი: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, სასახლის ქ. № 6 „სახალხო საქმის“ რედაქცია. კონტორა დიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე.



ქრონოლოგიური  
ბიბლიოთეკა

---

ფასი 2 მანეთი.

---